

ნინო ნიკოლაძე, ზურბა ფაჩულია

პრეორგანული ემიტს  
ლაბორატორიული პრეცეპული

პირველი ნაწილი

თბილისი  
2001

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის  
ფილიალი**

6060 60300-აბე, ზურაბ გარელია

**არაორგანული კიბების  
ლაბორატორიული პრაქტიკუმი  
პირველი ნაწილი**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2001

УДК 546(075.8)

б 636

დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია ივ-ჯა-  
ვანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საბუნების-  
მეცნიერებლო ფაკულტეტის პირველი კურსის არაორ-  
განული ქიმიის პროგრამის შესაბამისად.

წიგნით სარგებლობა შეუძლიათ უმაღლესი სას-  
წავლებლისა და კოლეჯის არაქიმიური სპეცია-  
ლობის სტუდენტებსაც.

იბეჭდება ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის 2000  
წლის 19 დეკემბრის სხდომის დადგენილებით (ოქმი №6)

**რედაქტორი პროფ. შ. სიდამონიძე**

**რეცენზენტები: დოც. ნ. ჭავჭანიძე  
ქ.მ.კ. მ. რუსია**

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

©ნ.ნიკოლაძე, ზ.ფარულია

6 1704000000  
608(06)-01

ISBN 99928-33-19-X

## თავი პირველი

### 1. ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის ზოგადი წესები

1. ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობისათვის აუცილებელია სტუდენტებს ჰქონდეს:
  - ა) ლაბორატორიაში სამუშაო სპეციალური ხალათი, ხელისა და ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო და ჩვარი;
  - ბ) ლაბორატორიული პრაქტიკუმისათვის განკუთვნილი რვეული.
2. პრაქტიკული მუშაობა სტუდენტმა უნდა შეასრულოს ინდივიდუალურად გარდა მითითებული ზოგიერთი სამუშაოსი.
3. სტუდენტი წინასწარ ეცნობა ცდის შინაარსს, აწყობს ხელსაწყოს, იმარაგებს სათანადო ჭურჭელსა და რეაქტივებს.
4. ცდას აკვირდება გულდასმით, ყურადღებას აქცევს ყველა მოვლენას და რვეულში იწერს ჩატარებული სამუშაოს მოკლე შინაარსს, რეაქციის ტოლობებს.
5. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას სისუფთავე ლაბორატორიაში, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ წესრიგში მოიყვანოს სამუშაო მაგიდა, გარეცხოს და გაასუფთავოს თავის მიერ გამოყენებული ჭურჭელი და ხელსაწყოები.

6. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს ლაბორატორიის ქონებას, არ გატეხოს და არ გააფუჭოს ჭურჭელი და ხელსაწყოები; მომჰირნედ ხარჯოს რეაქტივები.
7. მუავათა, ტუტეთა და მარილთა ხსნარების ნარჩენები უნდა ჩაისხას არა წყალსადენის ნიუარაში, არამედ მათოვის მიჩენილ თიხის ქილაში.

## 2. რეაქტივებით სარგებლობის წესები

1. მყარი ქიმიური ნივთიერება უნდა ინახებოდეს მილესილსაცობიან მინის ქილებში, ხოლო ხსნარები – სარეაქტივო შუშებში.
2. ყოველ სარეაქტივო ქილასა და შუშას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, რომელზედაც ნაჩვენები იქნება რეაქტივის სახელწოდება და ქიმიური ფორმულა. ხსნარს უნდა ეწეროს კონცენტრაცია.
3. სარეაქტივო ქილიდან მყარი რეაქტივი უნდა ამოვიდოთ რქის, ფაიფურის ან რკინის კოვზით, ან შპატელით, რომელიც შემდეგ აუცილებლად უნდა გასუფთავდეს.
4. სარეაქტივო ბოთლიდან ხსნარი უნდა გადმოვასხათ ეტიკეტის მოპირდაპირე მხრიდან.
5. რეაქტივებით სარგებლობის შემდეგ სარეაქტივო ჭურჭლებს თავი მაშინვე უნდა დავუცვაოთ და დავდგათ მისთვის განკუთვნილ ადგილას.

6. სარეაქტივო შუშების საცობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს არეული ერთმანეთში.
7. ჭარბად აღებული რეაქტივი არ შეიძლება ჩაიყაროს ან ჩაისხას უკან სარეაქტივო ჭურჭელში.
8. ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ლითონების ნაერთების ნარჩენები უნდა შეგროვდეს სპეციალურ ჭურჭელში.

### **3. უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა**

1. მომწამვლელ გაზებთან და არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებებთან მუშაობა უნდა წარმოებდეს ამწოვ კარადაში.
2. აქროლად და ადგილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობა უნდა წარმოებდეს ცეცხლისგან მოშორებით (უმჯობესია ამწოვ კარადაში).
3. საჭიროა, წესრიგში იყოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები – წყალი და ქვიშა, რომლებიც მისაწვდომ ადგილებზე უნდა იმყოფებოდეს.
4. ცდები უნდა ჩატარდეს ხელსაწყოების წინასწარი შემოწმების შემდეგ.
5. ყოვლად დაუშვებელია რეაქტივების გემოს გასინჯვა და უეტიკეტო რეაქტივებით სარგებლობა.
6. ნივთიერების დაყნოსვისათვის საჭიროა სათანადო წესის დაცვა.
7. დაუშვებელია ჩახედვა იმ ჭურჭელში, რომელშიც დუღს ან ასხამენ სითხეს.

8. შენჯვაბის თავიდან ასაცილებლად სინჯარაში ჩასხმული სიოთხე უნდა გაცხელდეს მთლიანად.
9. სიოთხის გაცხელებისას სინჯარის პირი მოარიდეთ ამხანაგს.
10. ლაბორატორიაში ყოველთვის უნდა იყოს გამანებიტრალებელი სსნარები ტანსაცმელზე ან სხეულზე მოხვედრილი მქავებისა და ტუტების წვეთების გასანეიტრალებლად (სოდის, ამიაკის, ძმარმჟავასა და ბორმჟავას სსნარები).
11. ჭრილობისა და სიდამწვრის შემთხვევაში დაზარალებულს პირველი დახმარება უნდა გაეწიოს ადგილზე ლაბორატორიაში არსებული აფთიაქიდან. ძლიერი მოწამვლის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიღმართოთ ექიმს.
12. ლაბორატორიიდან გამოსვლის წინ კარგად უნდა შევამოწმოთ სამუშაო მაგიდა, ონკანი და ელექტროგაყვანილობა.

#### **4. ქიმიური ჭურჭლები და ხელსაწყოები**

მუშაობის დაწყების წინ სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს იმ ჭურჭლსა და ხელსაწყოებს, რომელიც მას სჭირდება მუშაობის პროცესში.

ქიმიური ჭურჭლი დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ზოგადი დანიშნულებისა და სპეციალური დანიშნულების ჭურჭლი. ზოგადი დანიშნულების ჭურჭლს ეკუთვნის: 1) სინჯარები; 2) ქიმიური ჭიქები (სხვადასხვა მოცულობისა და ფორმის); 3)

ძაბრები (ჩვეულებრივი, საწვეთი, გამყოფი, დამცველი და სხვა); 4) ბრტყელძირა კოლბები, ერლენმეიერის კონუსური კოლბები, ბუნზენის კოლბა; 5) საზომი ცილინდრები, მენზურები; 6) რეტორტა; 7) კრისტალიზაციები; 8) პიპეტები; 9) ბიურეტები; 10) სარეაქტივო ჭურჭელები და ქილები; 11) მინის მილები და წკირები. სპეციალური დანიშნულების მინის ჭურჭელს ექუთვნის:

1) მრგვალძირა კოლბები; 2) გამოსახდელი კოლბები (ვიურცისა და კლაიზენის); 3) საზომი კოლბები; 4) ექსიკატორი; 5) დრექსელის ჭურჭელი (იხმარება აირის გარეცხვისა და გაშრობისათვის); 6) ტიშჩენკოს ჭურჭელი (იგივე დანიშნულებისათვის, რისთვისაც დრექსელის ჭურჭელი); 7) კიბის ხელსაწყო (იხმარება აირების მისაღებად).

### ფაიფურის ჭურჭელი

1. სხვადასხვა ზომის ფაიფურის ჯამები.
2. ფაიფურის როდინი ფილთაქვით.
3. ფაიფურის ტიგელი (გამოიყენება ნივთიერებათა გასახურებლად ან დასაწვავად).
4. ფაიფურის სამკუთხედი (იხმარება ტიგელის გახურების დროს).
5. ბიუხნერის ძაბრები (კრისტალური ნალექის გასწურად).

### გასათბობი ხელსაწყოები

1. სპირტჭურა – იძლევა  $800\text{--}1000^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერა-

ტურის ალს.

2. ბენზინის სანთურა – იძლევა  $1000-1360^{\circ}\text{C}$ -მდე ალს.
3. ბენზენისა და ტეპლუს გაზსანთურები, რომლებიც იძლევიან  $1200-1500^{\circ}\text{C}$ -მდე ალს.

გახურება შეიძლება მოხდეს უმუალოდ ალზე, აზ-ბესტის ბადეზე ან აბაზანებზე. ლაბორატორიაში გამოიყენება წყლის აბაზანა, ქვიშის აბაზანა; ქვიშის აბაზანაზე ხდება ნივთიერების გახურება მაღალ ტემპერატურაზე ფრთხილად და თანაბრად.

### ლაბორატორიის მოწყობილობა

1) შტატივი; 2) სამფეხა; 3) ჰოფმანისა და მორის მოჭკერები; 4) რკინის მაშები; 5) პინცეტი; 6) საშრობი ელექტროკარადა; 7) ხის მოჭკერები; 8) წყლის გამოსახდელი კუბი; 9) ტექნიკურ-ქიმიური სასწორი.

ლაბორატორიაში საგვარეულო ხასიათს ხმარობენ:

1. ნივთიერების შედარებით არაზუსტი აწონვისათვის ტექნიკურ სასწორს, რომლითაც ნივთიერების წონას განსაზღვრავენ 2-3 გ სიზუსტით.
2. ნივთიერების ზუსტი აწონვისათვის სარგებლობენ ქიმიურ-ტექნიკური სასწორით, რომელზედაც შეიძლება აიწონოს ნივთიერება 0,01 გ სიზუსტით.
3. ნივთიერების დიდი სიზუსტით აწონვისათვის ხმარდენ ანალიზურ სასწორს და ელექტროსასწორს, რომელიც 0,0002 გ სიზუსტით წონის.

## თავი მეორე ძიმიულ

### რჩაშციათა ჭიკები

#### ნივთიერების მასის მუდმივობის პანონი


ბუნებაში მომხდარ ამა თუ იმ ცვლილებას მოვლენა ეწოდება. მოვლენები ორი სახისაა: ფიზიკური და ქიმიური. ფიზიკური მოვლენის დროს იცვლება სხეულის ფორმა, აგრეგატული მდგომარეობა, მაგრამ მისი შემადგენლობა უცვლელი რჩება. ქიმიური მოვლენის დროს იცვლება ნივთიერების შემადგენლობა, რის შედეგადაც წარმოქმნება ახალი ნივთიერება. ქიმიურ მოვლენას სხვანაირად ქიმიური რეაქცია ეწოდება.

ქიმიური რეაქციის ადგვრისათვის საჭიროა მექანიკური, სითბური, ელექტრული და სინათლის ენერგიის ზემოქმედება. ქიმიური რეაქციის დროს ადგილი აქვს სითბოს გამოყოფას ან შთანთქმას. ამის მიხედვით არჩევენ ეგზოთერმულ (სითბოს გამოყოფით მიმდინარე) და ენდოთერმულ (სითბოს შთანთქმით მიმდინარე) რეაქციებს.


ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებათა მასა ყოველთვის ტოლია რეაქციის შედეგად წარმოქმნილ ნივთიერებათა მასისა. ამ კანონს ეწოდება ნივთიერებათა მასის მუდმივობის კანონი.

რეაქციაში მონაწილე და რეაქციის შედეგად მიღებული ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობის მიხედვით ქიმიური რეაქციები იყოფა ოთხ ტიპად: შეერთების, დაშლის, ჩანაცვლებისა და მიმოცვლის.


რეაქციას, რომლის დროსაც ორი ან მეტი ნივთიერებიდან წარმოიქმნება ერთი რთული ნივთიერება, შეერთების რეაქცია ეწოდება. მაგალითად:




რეაქციას, რომლის დროსაც ერთი რთული ნივთიერებიდან ორი ან მეტი ახალი ნივთიერება მიიღება, დაშლის რეაქცია ეწოდება. მაგალითად:



რეაქციას მარტივ და რთულ ნივთიერებებს შორის, რომლის დროსაც მარტივი ნივთიერების ატომები ჩაენაცვლება რთული ნივთიერების შემადგენელ ატომებს, რის შედეგადაც ახალი მარტივი და ახალი რთული ნივთიერება მიიღება, ჩანაცვლების რეაქცია ეწოდება. მაგალითად:



რეაქციას ორ რთულ ნივთიერებას შორის, როდესაც მათი შემადგენელი ატომები ან ატომთა ჯგუფები იცვლება, რის შედეგადაც ორი ახალი რთული ნივთიერება მიიღება, მიმოცვლის რეაქცია ეწოდება. მაგალითად:




## სამუშაო №1

### 1. ფიზიკური და ქიმიური მოვლენები

**ცდა 1.** აიღეთ 3-4 სმ სიგრძის მაგნიუმის ლენტი, პინცეტით დაიკავეთ ერთი ბოლო და მეორე ბოლო


შეიტანეთ სპირტქურის აღ ში. მაგნიუმი დაიწყებს წვას თვალისმომჰქრელი სინათლის გამოყოფით, რის შედეგადაც ის გარდაიქმნება თეთრ ფხვნილად – მაგნიუმის ოქსიდად:



**ცდა 2.** აიღეთ სუფთა ქაღალდის ორი ნაჭერი. ერთზე მოათავსეთ 2 გ რკინის ნაქლიბი, მეორეზე – ამავე რაოდენობის გოგირდის ფხვნილი. შეისწავლეთ ამ ნივთიერებათა თვისებები. ამისათვის გამოიყენეთ მაგნიტი. ნახავთ, რომ რკინის ნაქლიბი მაგნიტით მიიზიდება, ხოლო გოგირდის ფხვნილი არა. შეამოწმეთ წყალთან დამოკიდებულება. წყლიან სინჯარაში რკინის ნაქლიბი ჩაიძირება, ხოლო გოგირდის ფხვნილი არა, ზევით იტივტივებს. შეამოწმეთ რკინის ნაქლიბისა და გოგირდის ფხვნილის ხსნადობა გოგირდნახშირბადში. აღმოჩნდება, რომ რკინა არ იხსნება, ხოლო გოგირდი გაიხსნება. ამის შემდეგ მოამზადეთ ნარევი – რკინის ნაქლიბს შეურიეთ გოგირდის ფხვნილი; შეამოწმეთ ნარევის თვისებები მაგნიტით, წყლით და გოგირდნახშირბადით. დაინახავთ, რომ ნარევში რკინასა და გოგირდს თვისებები შენარჩუნებული აქვთ. ამრიგად დაასკვნით, რომ თქვენს მიერ მომზადებული ნარევი წარმოადგენს მექანიკურ ნარევს.

**ცდა 3.** ქიმიურ-ტექნიკურ სასწორზე აწონეთ 1 გ გოგირდი და 1,75 გ რკინის ფხვნილი. კარგად შეურიეთ ერთმანეთს ქაღალდის ფურცელზე და ჩაყარეთ მშრალ სინჯარაში, რომელსაც დაამაგრებთ ოდნავ დახრილად შტატივზე მომჰქრით. სინჯარა ჯერ მთლიანად შეათბეთ სპირტქურით, შემდეგ კი სინჯარის ქვედა ნაწილი გააცხელეთ. როცა ნარევი გავარგარებას დაიწყებს, რაც რეაქციის დაწყებას ნიშნავს,

გაცხელება შეწყვიტეთ. რეაქცია გაგრძელდება გამოყოფილი სითბოს ხარჯზე. გაციებული სინჯარა გატეხეთ და გამოიდეთ მასში არსებული მყარი მასა. იგი წარმოადგენს რკინისა და გოგირდის ნაერთს – გოგირდოვან რკინას. რეაქციის ტოლობა გამოისახება ასე:




თქვენს მიერ მიღებული ნივთიერება ფაიფურის როდინში გააფხვიერეთ. შეამოწმეთ, შეინარჩუნა თუ არა გოგირდმა და რკინამ თავ-თავიანთი თვისებები. შემოწმების შედეგების მიხედვით დაასკვნით, რომ ნარევის გავარვარებას მოჰყვა ქიმიური რეაქცია, რის შედეგადაც მიიღება ახალი ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ქიმიურ ნაერთს. ეს ნაერთი სრულიად განსხვავდება რკინისა და გოგირდისაგან.

აღებული გოგირდი და რკინა მარტივი ნივთიერებებია, ხოლო მათ შორის ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ახალი ნივთიერება – გოგირდოვანი რკინა – რთული ნივთიერებაა.

## 2. ქიმიურ რეაქციათა ტიპები


### შეართების რეაქცია

**ცდა 4.** აიღეთ ორი სინჯარა; ერთში ჩაასხით კონცენტრირებული ამონიუმის ტუტე  $\text{NH}_4\text{OH}$ , ხოლო მეორეში – კონცენტრირებული მარილმჟავა  $\text{HCl}$ . სინჯარის პირები მიუახლოვეთ ერთმანეთს. გამოიყოფა ბოლო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ წარმოიქმნა ამონიუმის ქლორიდი –  $\text{NH}_4\text{Cl}$ :



## დაშლის რეაქცია

**ცდა 5.** მშრალ სინჯარაში ჩაყარეთ კალიუმის ნიტრატის ( $\text{KNO}_3$ ) ფხვნილი. სინჯარა მომჭერით დაიკავეთ და ფრთხილად გააცხელეთ სპირტქურის ალზე. გახურების შედეგად კალიუმის ნიტრატი დაიშლება და გამოიყოფა ჟანგბადი:



გამოყოფილი ჟანგბადი შეამოწმეთ მბჟუტავი კვარით.

## ჩანაცვლების რეაქცია

**ცდა 6.** სინჯარაში ჩააგდეთ გრანულირებული ოუთიის 2-3 მარცვალი და დაუმატეთ განზავებული გოგირდმჟავა. სინჯარას მოარგეთ საცობი გაზგამყვანი მილით. როდესაც რეაქცია ინგენსიურად წარიმართება, გაზგამყვან მიღლთან მიიტანეთ ანთებული კვარი. შეამჩნევთ, რომ გამოყოფილი წყალბადი წვას დაიწყებს.




**ცდა 7.** სინჯარაში ჩაასხით სპილენძის (II) სულფატის ხსნარი და ჩაუშვით რკინის ლურსმანი. ცოტა ხნის შემდეგ რკინის ლურსმანზე გამოიყოფა წითელი ფერის ფენა; ეს სპილენძია:



## მიმოცვლის რეაქცია

**ცდა 8.** სინჯარაში ჩაასხით 2-3 მლ ნატრიუმის ქლორიდის ხსნარი. მას წვეთობით დაამატეთ ვერცხლის ნიტრატის ( $\text{AgNO}_3$ ) ხსნარი. წარმოიქმნება თეთრი ხაჭოსებრი ნალექი  $\text{AgCl}$ :



### **3. ნივთიერების მასის მუდმივობის განონი**

**ცდა 9.** აიღეთ სრულიად მშრალი, დიდი ზომის ერლენგერის კოლბა და მოარგეთ რეზინის საცობი. საცობი გახვრიტეთ და მასში გაატარეთ რკინის კოვზის დერო. რკინის კოვზზე დაამაგრეთ სტეარინის სანთელი. კოვზი საცობთან და სანთელთან ერთად აწონეთ ქიმიურ-ტექნიკურ სასწორზე და წონა ჩაინიშნეთ. შემდეგ კოვზი სანთელთან ერთად ჩადგით კოლბაში. საცობი მჭიდროდ მოარგეთ და ქიმიურ-ტექნიკურ სასწორზე გააწონასწორეთ. ამის შემდეგ კოლბა გადმოდგით. კოლბის ყელთან სანთელი აანთეთ და სწრაფად ჩაუშვით კოლბაში. საცობი მჭიდროდ მოარგეთ და კოლბა კვლავ სასწორზე დადგით. აწონეთ. სანთელი რამდენიმე ხანს გააგრძელებს წვას, შემდეგ კი ჩაქრება. დააკვირდით და შეამჩნევთ, რომ სასწორის წონასწორობა არ დაირღვევა. მაშასადამე, იზოლირებულ გარემოში ქიმიური რეაქციის მიმდინარეობისას ნივთიერების მასა არ შეიცვალა. კოლბის შიგა კედლებზე წყლის წვეთებს შენიშნავთ, ხოლო თუ საცობს მოხდით და კოლბაში ჩასხებამთ კირიან წყალს, ნახავთ, რომ ხსნარი აიმდვრევა, რაც კალციუმის კარბონატის წარმოქმნით არის განპირობებული, ე.ი. სანთლის წვის დროს წარმოქმნილა წყალი და ნახშირბადის დიოქსიდი. კოვზი საცობთან და სანთელთან ერთად კვლავ აწონეთ. ნახავთ, რომ სანთელს წონაში დაუკლია. მაგრამ თქვენ ცდიდან დაინახეთ, რომ სასწორის წონასწორობა არ დარღვეულა. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ სანთლის წვის შედეგად წარმოქმნილი წყალი და ნახშირბადის დიოქსიდი კოლბაში დარჩა.

## თავი მსამა

### აირად ნივთიერებათა მოლეკულური მასის განსაზღვრა

აირად ნივთიერებათა მოლეკულური მასის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი არსებობს. ჩვენ განვიხილავთ მოლეკულური მასის განსაზღვრას აირის სიმკვრივის მიხედვით და კლაპეირონ-მენდელეევის განტოლებით.

#### I. მოლეკულური მასის განსაზღვრა აირის სიმკვრივის მიხედვით

ავოგადროს კანონის მეორე შედეგის თანახმად, ტოლი მოცულობის აირთა მასები ისე შეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი მოლური მასები:

$$\frac{m_1}{m_2} = \frac{M_1}{M_2} \quad (1)$$

ტოლი მოცულობის აირთა მასების შეფარდებას ეწოდება პირველი აირის ფარდობითი სიმკვრივე მეორე აირის მიმართ და აღინიშნება D ასოთი. ე.ი.

$$D = \frac{m_1}{m_2} \quad (2)$$

ჩავსვათ მე(2) განტოლება (1)-ში; მივიღებთ:

$$D = \frac{M_1}{M_2} \quad (3)$$

საიდანაც,

$$M_1 \quad DM_2 \quad (4)$$

ე. პირველი აირის მოლური მასა ტოლია მეორე აირის მიმართ მისი ფარდობითი სიმკვრივისა და მეორე აირის მოლური მასის ნამრავლისა.

ხშირად ფარდობით სიმკვრივეს საზღვრავენ ყველაზე მსუბუქი აირის – წყალბადის მიმართ. მაშინ მე-(4) ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:

$$\begin{aligned} M &= D_{H_2} M(H_2) \\ M &= 2D_{H_2} \end{aligned} \quad (5),$$

სადაც 2 არის წყალბადის მოლური მასა (გ/მოლი),  $D_{H_2}$  – უცნობი აირის ფარდობითი სიმკვრივე წყალბადის მიმართ.

ზოგჯერ ფარდობით სიმკვრივეს საზღვრავენ ჰაერის მიმართ. მაშინ მე-(4) ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:

$$\begin{aligned} M &= D_{\beta} M(\beta) \\ M &= 29D_{\beta} \end{aligned} \quad (6),$$

სადაც 29 არის ჰაერის საშუალო მოლური მასა (გ/მოლი),  $D_{\beta}$  – უცნობი აირის ფარდობითი სიმკვრივე ჰაერის მიმართ.

**მაგალითი.** უცნობი აირის ფარდობითი სიმკვრივე წყალბადის მიმართ 14-ის ტოლია. განსაზღვრეთ მისი მოლური მასა.

ვსარგებლობთ მე-(5) ფორმულით:  $M = 2D_{H_2}$

$$M = 2 \text{ г/მოლо} \cdot 14 = 28 \text{ г/მოლо}$$

უცნობი აირის მოლური მასა 28 გ/მოლია.

## II. მოლეკულური მასის განსაზღვრა კლაპეირონ-მენდელევის განტოლებით

თუ ცნობილია გარკვეული მასის აირის მიერ მოცემულ პირობებში (წნევა, ტემპერატურა) დაკავებული მოცულობა, მაშინ კლაპეირონ-მენდელევის განტოლების საშუალებით შესაძლებელია მისი მოლური მასის განსაზღვრა. კლაპეირონ-მენდელევის განტოლება მიიღება გეო-ლუსაკის, ბოილ-მარიოტისა და ავოგადროს კანონების გამოყენებით და მას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{PV}{M} = \frac{m}{RT} \quad (7),$$

სადაც  $P$  არის აირის მიერ განვითარებული წნევა, პა;  $V$  – აირის მიერ დაკავებული მოცულობა, მ<sup>3</sup>;

$m$  – აირის მასა, გ;

$M$  – აირის მოლური მასა, გ/მოლი;

$R$  – აირის უნივერსალური მუდმივა, რომელიც  $8,3144 \text{ J/(მოლი\cdot K\cdot მ)} = 8,3144 \text{ J/(მოლი\cdot K\cdot ტოლია)}$

$T$  – აბსოლუტური ტემპერატურა,  $K$  (კელვინი).

განზომილებები მოცემულია SI სისტემით.

მე(7) განტოლებიდან აირის მოლური მასა ტოლია:

$$M = \frac{mRT}{PV} \quad (8)$$

**მაგალითი.**  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურასა და  $1 \text{ ატმოსფერულ } \text{წნევაზე } 2,2 \text{ გ უცნობი აირი იკავებს } 1,22 \text{ ლ მოცულობას. განსაზღვრეთ მისი მოლური მასა.}$

ამოცანაში მოცემული სიდიდეების ერთეულები გადავიყვანოთ SI სისტემაში. ტემპერატურა ( $25^{\circ}\text{C}$ ) კელვინის სკალაში შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$T = 273,15 \text{ K} + t^{\circ}\text{C} = 273,15 \text{ K} + 25^{\circ}\text{C} = 298,15 \text{ K}$$

$$1 \text{ ატმ } \dot{\text{წ}}\text{ნევა } \text{არის } 101325 \text{ პა; } 1,22 \text{ ლ} = 1,22 \cdot 10^{-3} \text{ მ}^3$$

$$(1 \text{ მ}^3 = 1000 \text{ ლ} = 10^3 \text{ ლ}; 1 \text{ ლ} = 0,001 \text{ მ}^3 = 10^{-3} \text{ მ}^3; \dot{\text{წ}}\text{ნ} = \dot{\text{წ}}\text{ნ} \cdot \text{მ}^3)$$

ყოველივე ამის გათვალისწინებით მე-(8) განტოლება მიიღებს სახეს:

$$M = \frac{mRT}{PV} = \frac{2,2 \cdot 8,3144 \frac{\dot{\text{წ}}\text{ნ}}{\text{მოლობელ}} \cdot 298,15 \text{ დ}}{101325 \text{ პა} \cdot 1,22 \cdot 10^{-3} \text{ მ}^3} = 44,12 \text{ გ/მოლი}$$

აირის მოლური მასა დაახლოებით 44 გ/მოლის ტოლია.

## სამუშაო №2

### ნახშირბადის დიოქსიდის მოლეკულური მასის განსაზღვრა

**ცდა 1.** მოამზადეთ კიპის ხელსაწყო ნახშირბადის დიოქსიდის მისაღებად. ამისათვის კიპის ხელსაწყოს შუა ბურთში ჩაყარეთ მარმარილოს ნატეხები და სათანადო წესის დაცვით ჩასხით განზავებული მარილმჟავა. კიპის ხელსაწყოდან გამოსულმა აირმა უნდა გაიაროს ტიშჩენკოს ორ გამრეცხ შუშაში. ერთში უნდა იყოს ჩასხმული  $\text{NaHCO}_3$ -ის ნაჯერი ხსნარი, ხოლო მეორეში – კონცენტრირებული გოგირდმჟავა. პირველ შუშაში გავლისას ( $\text{NaHCO}_3$ -ის ხსნარი) ნახშირბადის დიოქსიდი თავისუფლდება ქლორწყალბადის მინარევისაგან, ხოლო მეორე შუშაში კი – წყლის ორთქლისაგან. ამრიგად, უნდა მივიღოთ მშრალი და წმინდა აირი – ნახშირბადის (IV) ოქსიდი.

კიპის ხელსაწყოში ქიმიური პროცესი შემდეგი

განტოლებით გამოისახება:



აიღეთ 250 მლ მოცულობის მშრალი კოლბა მორგებული საცობით. კოლბის ყელზე მინაზე საწერი ფანქრით ადნიშნეთ საცობის ქვედა დონე. აწონეთ კოლბა საცობით ტექნიკურ სასწორზე (a1). აავსეთ კოლბა კიბის ხელსაწყოდან გამოსული ნახშირბადის დიოქსიდით. კოლბის ყელთან ანთებული კვარის მიტანით შეამოწმეთ კოლბის გავსება  $\text{CO}_2$ -ით. თუ კვარი ჩაქრა, მაშასადამე, კოლბა გავსებულია აირით. აირგამყანი მილი ფრთხილად ამოიღეთ კოლბიდან და მჭიდროდ დაუცეო საცობი პირვანდელ მდგომარეობამდე. კოლბა აწონეთ (a2).

კოლბის მოცულობის გასაგებად მასში ზუსტად ნიშნამდე ჩაასხით გამოხდილი წყალი. შემდეგ წყალი ჩაასხით საზომ ცილინდრში. ამით გაიგეთ როგორც კოლბის, ისე კოლბაში მოთავსებული ჰაერისა და, შესაბამისად,  $\text{CO}_2$ -ის მოცულობას ცდის პირობებში.

ამრიგად, თქვენ გაიგეთ ჰაერის მოცულობას (V) ცდის პირობებში, ხოლო ნორმალურ პირობებში აირის მოცულობას (V<sub>0</sub>) გამოიანგარიშებთ შემდეგი ფორმულით:

$$V_0 = \frac{PVT_0}{P_0T},$$

სადაც P – ცდის დროს ბარომეტრზე ათვლილი წნევა, ხოლო T = T<sub>0</sub> + t°C; t°C – ცდის დროს გაზომილი ტემპერატურაა, გ.ი.

$$V_0 = \frac{273PV}{760(273 + t^{\circ}\text{C})}$$

როგორც იცით, 1 ლ ჰაერი ნორმალურ პირობებში

იწონის 1,293 გ-ს; მაშინ თქვენ პროპორციით გაიგებთ რას იწონის  $V_0$  მოცულობის ჰაერი. ვთქვათ, ეს მასაა  $b$ .

თუ კოლბის მასას საცობით და ჰაერით  $a_1$ -ს გამოაკლებთ ჰაერის მასას  $b$ -ს, მაშინ თქვენ გაიგებთ კოლბის მასას საცობით, რომელიც აღნიშნეთ  $m_0$ -ით. ე.ი.  $a_1 - b = m_0$ .

თუ კოლბის მასას ნახშირბადის დიოქსიდით და საცობით  $a_2$ -ს გამოაკლებთ კოლბის მასას საცობით  $m_0$ -ს, მიიღებთ  $\text{CO}_2$ -ის მასას, რომელიც აღნიშნეთ  $m$ -ით. ე.ი.  $a_2 - m_0 = m$ .

იცით რა მოცემულ ერთნაირ პირობებში ტოლი მოცულობების ჰაერისა და ნახშირბადის დიოქსიდის მასები, თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ ნახშირბადის დიოქსიდის ფარდობითი სიმკვრივე ჰაერის მიმართ ფორმულით:

$$D_{\text{ა}}(\text{CO}_2) = m/b$$

ბოლოს, შესაძლებელია გამოთვალოთ ნახშირბადის დიოქსიდის მოლეკულური მასა ფორმულით:

$$M(\text{CO}_2) = 29 D_{\text{ა}} (\text{გ}/\text{მოლი})$$

## თავი მეოთხე

### ლითონის მასიური მასის განსაზღვრა

ქიმიური ნაერთის წარმოქმნისას ელემენტები ერთ-მანეთს უერთდებიან არა ნებისმიერი, არამედ ზუსტად განსაზღვრული რაოდენობებით. ამ რაოდენობებს ეწოდება ექვივალენტური მასები.

ნივთიერების ექვივალენტური მასა ეწოდება მის წონით რაოდენობას, რომლითაც იგი უერთდება ან ჩაენაცვლება ნაერთებში 1 გ წყალბადს, ან 8 გ ჟანგბადს.

ნივთიერებათა მასები, ექვივალენტური მასები, მოცულობები და ექვივალენტური მოცულობები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი ფორმულებით:

$$\frac{m_{eq}(A)}{m_{eq}(B)} = \frac{V_{eq}(A)}{V_{eq}(B)} \quad (1) \qquad \frac{V_{eq}(A)}{V_{eq}(B)} = \frac{V(A)}{V(B)} \quad (2)$$

$$\frac{m_{eq}(A)}{m_{eq}(B)} = \frac{V(A)}{V(B)} \quad (3) \qquad \frac{V_{eq}(A)}{V_{eq}(B)} = \frac{m(A)}{m(B)} \quad (4)$$

$$\frac{m_{eq}(A)}{V_{eq}(B)} = \frac{m(A)}{V(B)} \quad (5) \qquad \frac{V_{eq}(A)}{m_{eq}(B)} = \frac{V(A)}{m(B)} \quad (6)$$

სადაც  $m_{eq}(A)$  არის A ნივთიერების ექვივალენტური მასა, გ/მოლი;

$m_{eq}(B)$  – B ნივთიერების ექვივალენტური მასა, გ/მოლი;

$m(A)$  – A ნივთიერების მასა, გ;

$m(B)$  – B ნივთიერების მასა, გ;

$V_{eq}(A)$  – A ნივთიერების ექვივალენტური მოცულობა,

ლ/მოლი;

V<sub>eq</sub>(B) – B ნივთიერების ექვივალენტური მოცულობა,  
ლ/მოლი;

V(A) – A ნივთიერების მოცულობა, ლ;

V(B) – B ნივთიერების მოცულობა, ლ.

წყალბადის ექვივალენტური მასაა 1 გ/მოლი, ხოლო ექვივალენტური მოცულობა 11,2 ლ/მოლი; უანგბადის ექვივალენტური მასაა 8 გ/მოლი, ხოლო ექვივალენტური მოცულობა 5,6 ლ/მოლი.

მყარი ნივთიერების ექვივალენტური მასის ლაბორატორიულ პირობებში განსაზღვრისათვის მოხერხებულია მე(5) ფორმულის გამოყენება:

$$\frac{m_{eq}(A)}{V_{eq}} = \frac{m(A)}{V(B)},$$

სადაც A ნივთიერება, ჩვენს შემთხვევაში, არის ძლიერ მჟავაში ხსნადი ლითონი (თუთია, მაგნიუმი ან ალუმინი), ხოლო B ნივთიერება – რეაქციის შედეგად გამოყოფილი წყალბადი. ცნობილი მასის ლითონის მჟავაში გახსნისას გამოყოფილი წყალბადის მოცულობა უნდა დაივივანოთ ნორმალურ პირობებამდე, რამდენადაც ცდის ჩატარების პირობები უდავოდ განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან. მოცულობის დაყვანა განვახორციელოთ შემდეგი განტოლების საშუალებით:

$$V_0 = \frac{PVT_0}{P_0T} \quad (7)$$

რამდენადაც წყალბადის შეგროვება წარმოებს წყლის ზემოთ, ბარომეტრზე ათვლილ ატმოსფერულ წნევას უნდა გამოვაკლოთ ცდის ტემპერატურაზე წყლის ორთქლის პარციალური წნევა h (იხ. ცნობარ-

ში). ე.ი. მე-(7) ფორმულა გარდაიქმნება შემდეგნაირად:

$$\frac{V_0}{P_0 T} \frac{(P - h) V T_0}{P_0 T} \quad (8)$$

მე-(5) განტოლებას მივცეთ შემდეგი სახე:

$$\frac{m_{eq}(Me)}{V_{eq}(H_2)} \frac{m(Me)}{V_0(H_2)} \quad (9),$$

საიდანაც

$$m_{eq}(Me) = \frac{m(Me) \cdot V_{eq}(H_2)}{V_0(H_2)} \quad (10)$$

### სამუშაო №3

**ცდა 1.** აიღეთ სინჯარა, მასში პიპეტით ჩაასხიო მარილმჟავა ისე, რომ სინჯარის კედლები არ დასველდეს. სინჯარა დაამაგრეთ შტატივზე დახრილად და მის კედლებზე მოათავსეთ ლითონის ნაჭერი, რომელიც წინასწარ აწონილი უნდა იყოს. სინჯარას მოარგეთ საცობი გაზგამყვანი მილით, რომლის ბოლო შეაერთეთ გამრეცხ კოლბასთან. სინჯარის დახრით ჩააგდეთ ლითონის ნაჭერი მჟავაში. რეაქცია დაიწყება: გამოიყოფა წყალბადი ბუშტების სახით გამრეცხ კოლბაში, საიდანაც წყალი გადმოდინდება მენზურაში. რეაქციის დამთავრების შემდეგ მენზურაში არსებული წყლის მოცულობა ტოლია გამოყოფილი წყალბადის მოცულობისა.

აითვალიერეთ ოთახის ტემპერატურა თერმომეტრზე და წნევა ბარომეტრზე. ცნობარში მონახეთ ცდის პირობების შესაბამისი წყლის ორთქლის პარციალური წნევა. გაანგარიშება აწარმოეთ მე-(10) ფორმულის მიხედვით.

# თავი მახუთე

## ძიგიური რეაციის სიჩქარე

### ძიგიური ფონას ფორმება

რეაქციის სიჩქარე ეწოდება მორეაგირე ნივთიერებათა მოლური კონცენტრაციის ცვლილებას დროში. რეაქციის სიჩქარის განზომილებაა მოლი/ლ.წ<sup>3</sup> ან მოლი/ლ.წ<sup>2</sup>.

ქიმიური რეაქციები შეიძლება იყოს პომოგენური და ჰეტეროგენული. პომოგენური რეაქციები მიმდინარეობს ერთ ფაზაში, ჰეტეროგენული კი – სხვადასხვა ფაზაში. პომოგენური რეაქციები მიმდინარეობს მთელ მოცულობაში, მაშინ როდესაც ჰეტეროგენული რეაქციები მიმდინარეობს მხოლოდ ზედაპირზე – მორეაგირე ნივთიერებების შეხების ადგილას.

პომოგენურ რეაქციებში რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციებზე. რეაქციის სიჩქარის გამოსაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ ერთ-ერთი მორეაგირე ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილება დროის გარკვეულ პერიოდში. დავუშვათ, რომ დროის 1 მომენტში მოქმედი ნივთიერების მოლური კონცენტრაცია 1-ის ტოლია, 2 მომენტში კი 2-ის ტოლი გახდა. ამ გარკვეული დროის შუალედში რეაქციის საშუალო სიჩქარე შემდეგი ტოლობით გამოისახება:

$$v = \frac{C_2 - C_1}{\int_2 - \int_1} \propto \int$$

განტოლების მარჯვენა მხარეს მინუსი ნიშანი აიხსნება იმით, რომ  $C_2 < C_1$  და მათ შორის სხვაობა უარყოფითი მნიშვნელობისაა.

$$v \frac{dC}{dt}$$

$v$  – რეაქციის ჭეშმარიტი სიჩქარეა.

ქიმიური რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებების ბუნებაზე, მათ კონცენტრაციაზე, ცდის ტემპერატურაზე და სხვა ფაქტორებზე. რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნამრავლზე; ამ დამოკიდებულებას მოქმედ მასათა კანონი ეწოდება და ის ფორმულირებული იყო გულდბერგისა და ვაგეს მიერ და მათ სახელს ატარებს.

განვიხილოთ რეაქცია:




ამ რეაქციის სიჩქარე მოქმედ მასათა კანონის მიხედვით გამოისახება ასე:

$$V k C_A^a C_B^b \quad (1),$$

სადაც  $k$  არის რეაქციის სიჩქარის მუდმივა. თუ  $C_A = C_B = 1$  მოლი/ლ ან  $C_A^a \cdot C_B^b = 1$  მოლი/ლ, მაშინ  $k = v$  – ეს არის რეაქციის სიჩქარის მუდმივას ფიზიკური არსი.

(1) განტოლებას რეაქციის კინეტიკური განტოლება ეწოდება.

რეაქციისათვის:



კინეტიკური განტოლება ასეთ სახეს მიიღებს:

$$v k C_{N_2} C_{H_2}^3 \quad (2)$$

## ტემპერატურის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე

ტემპერატურის გადიდებასთან ერთად ქიმიური რეაქციის სიჩქარე მკვეთრად იზრდება. ეს იმით აიხსნება, რომ ტემპერატურის გადიდებისას აქტიურ მოლეკულათა რიცხვის და მათი მოძრაობის სიჩქარის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად მატულობს მათი შეჯახების რაოდენობაც დროის ერთეულში. ვანტ-პოფის წესის თანახმად, ტემპერატურის ყოველი  $10^{\circ}$ -ით გადიდებისას, ქიმიური რეაქციის სიჩქარე 2-4-ჯერ მატულობს. ეს წესი მათემატიკურად შემდეგი ტოლობით გამოისახება:

$$v_{t_2} = v_{t_1} \cdot e^{\frac{t_2 - t_1}{10}}$$

ან

$$v_{t_2} = v_{t_1} \cdot e^{\frac{at}{10}},$$

სადაც  $At = t_2 - t_1$ ,

— რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მატულობს რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის ყოველი  $10^{\circ}$ -ით გადიდებისას,

$\frac{t_2 - t_1}{10}$  — სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტის ხარისხის მაჩვენებელია,

$v_{t_1}$  — რეაქციის სიჩქარეა საწყის ტემპერატურაზე,

$v_{t_2}$  — რეაქციის სიჩქარეა გაზრდილ ტემპერატურაზე.

## ქიმიური წონასწორობა

განვიხილოთ შექცევადი რეაქცია ზოგადად:

$$aA + bB \xrightarrow{dD + eE}$$

პირდაპირი რეაქციის სიჩქარე:

$$v_1 k_1 C_A C_B \quad (3)$$

შებრუნებული რეაქციის სიჩქარე ტოლია:

$$v_2 k_2 C_D C_E \quad (4)$$

როდესაც პირდაპირი და შებრუნებული რეაქციის სიჩქარეები გაუტოლდება ერთმანეთს, ე.ი. როდესაც  $v_1 = v_2$ , მაშინ დამყარდება ქიმიური წონასწორობა, ე.ი.

$$k_1 C_A C_B = k_2 C_D C_E \quad (5)$$

მოვახდინოთ ცვლადების განცალება:

$$\frac{k_1}{k_2} = \frac{C^d C^e}{C^a C^b} \quad (6)$$

აღვნიშნოთ:

$$\frac{k_1}{k_2} = K \quad (7)$$

K-ს წონასწორობის მუდმივას ვუწოდებთ. ის შეიძლება ასე გამოვსახოთ:


$$K = \frac{C^d C^e}{C^a C^b} \quad (8)$$

გაგალითად, რეაქციისათვის:  $N_2 + 3H_2 \rightleftharpoons 2NH_3$  წონასწორობის მუდმივა ტოლი იქნება:

$$K = \frac{C_{NH_3}^2}{C_{N_2} \cdot C_{H_2}^3} \quad (9)$$

## ლე-შატელიეს პრინციპი

თუ ჭეშმარიტ წონასწორულ მდგომარეობაში მყოფ სისტემაზე ვიმოქმედებთ გარედან (შევცვლით ტემპერატურას, წნევას ან კონცენტრაციას), მაშინ სისტემაში გაძლიერდება ის მიმართულება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ზემოქმედებას და წონასწორობა გადაინაცვლებს მისი შესუსტების მიმართულებით. მაგალითად, განვიხილოთ ეთერიფიკაციის რეაქცია:



რეაქციის პროცესების (ეთერის) გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით სისტემაში შეუავთ კონცენტრირებული გოგირდმჟავა, რომელიც იკავშირებს წყალს, რის შედეგადაც მისი კონცენტრაცია მცირდება და წონასწორობა გადაინაცვლებს მარცხნიდან მარჯვნივ.

## სამუშაო №4

### 1. რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე

**ცდა 1.** ჩაატარეთ რეაქცია ნატრიუმის თიოსულფატსა  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$  და განზავებულ გოგირდმჟავას შორის. ცოტა ხნის შემდეგ სსნარი აიმდგრევა თავისუფალი გოგირდის გამოყოფის გამო:



რაც უფრო სწრაფად მოხდება რეაქცია გოგირდმჟავასა და თიოსულფატს შორის, მით უფრო სწრაფად წარმოიქმნება სიმღვრივე. ამიტომ დრო, რომელიც გაივლის რეაქციის დაწყებიდან სსნარის შესამჩნევ ამღვრევამდე, დამოკიდებულია რეაქციის სიჩქარე.

რეზე. ე.ი. ოუ გავზომავთ დროს ამ ორი ხსნარის შერევის მომენტიდან სიმღვრივის გაჩენამდე, ამით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნული რეაქციის სიჩქარეზე.

აღნიშნული რეაქციის მაგალითზე შეიძლება დაკვირვება აწარმოოთ, ოუ როგორ არის დამოკიდებული რეაქციის სიჩქარე კონცენტრაციაზე. ამისათვის აიდეთ ექვსი სინჯარა და დანომრეთ. პირველ სამ სინჯარაში ჩაასხით თიოსულფატის განზავებული (1:100) ხსნარი 5 მლ, 10 მლ და 15 მლ რაოდენობით. შემდეგ ჩაუმატეთ წყალი შესაბამისად I-ში 10 მლ, II-ში 5 მლ. ამრიგად, სინჯარებში თიოსულფატის კონცენტრაციების შეფარდება იქნება 1:2:3. ამის შემდეგ IV, V და VI სინჯარაში ჩაასხით 5-5 მლ განზავებული გოგირდმჟავა (1:100); I და IV ნომერი სინჯარები შეურიეთ ერთმანეთს და წამმზომი აამუშავეთ. როდესაც ოდნავ შესამჩნევი სიმღვრივე გაჩნდება, ჩაინიშნეთ დრო. ამის შემდეგ აიღეთ II და V ნომრიანი, III და VI ნომრიანი სინჯარები და ჩატარეთ პირველი ცდის ანალოგიურად.

ცდის შედეგები ჩაიწერეთ შემდეგი ფორმის მიხედვით:

თიოსულფატიანი სინჯარები №	აღებული $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ -ის რაოდენობა, მლ	დამატებული $\text{H}_2\text{O}$ -ის რაოდენობა, მლ	დამატებული $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის რაოდენობა, მლ	ხსნარების შერევიდან სიმღვრივის წარმოქმნამდე გასული დრო, წმ	რეაქციის ფარდობითი სიჩქარე, $v = 1/$
1	5	10	5		
2	10	5	5		
3	15	0	5		

შემდეგ თიოსულფატის კონცენტრაცია დატოვეთ უცვლელად, გოგირდმჟავას კონცენტრაცია შეცვალეთ სათანადოდ. ცდა ჩაატარეთ პირველი ცდის ანალოგიურად და შედეგები ჩაიწერეთ. ბოლოს თქვენს მიერ ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით გამოთქვით, რა დამოკიდებულებაშია რეაქციის სიჩქარე მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციაზე.

## 2. რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურაზე

**ცდა 2.** აიღეთ ექვსი ცალი დანომრილი სინჯარა. პირველ სამ სინჯარაში ჩაასხიო 10-10 მლ თიოსულფატის განზავებული (1:100) ხსნარი, ხოლო მეოთხე, მეხუთე და მეექსე სინჯარებში 10-10 მლ გოგირდმჟავას განზავებული (1:100) ხსნარი. სინჯარები დაყავით სამ წყვილად ისე, რომ თითოეულ წყვილში შედიოდეს ერთი სინჯარა თიოსულფატის ხსნარი და ერთი – გოგირდმჟავასი. პირველ წყვილს შორის რეაქცია ჩაატარეთ ოთახის ტემპერატურაზე და ჩაინიშნეთ სიმღვრივის წარმოქმნის დრო. მეორე წყვილი წყლიან ჭიქაში ჩაუშვით და გააცხელეთ  $10^{\circ}\text{C}$ -ით უფრო მაღლა. შემდეგ ჩაატარეთ ცდა და დაინიშნეთ სიმღვრივის წარმოქმნის დრო. მესამე წყვილი კი გაათბეთ  $20^{\circ}\text{C}$ -ით მაღლალ ტემპერატურაზე და ისე ჩაატარეთ ცდა. ამ შემთხვევაშიც ჩაინიშნეთ სიმღვრივის წარმოქმნის დრო. შედეგები შეიძლება ჩაიწეროთ შემდეგი ფორმის მიხედვით და იმსჯელეთ რა დამოკიდებულებაშია რეაქციის სიჩქარე ტემპერატურასთან.

სინჯა- რების წყვილ- თა №	ადგებული $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ - ის რაოდე- ნობა, მლ	დამა- ტებუ- ლი $\text{H}_2\text{SO}_4$ - ის რაოდე- ნობა, მლ	დამა- ტებუ- ლი $\text{H}_2\text{SO}_4$ - ის რაოდე- ნობა, მლ	ტემპე- რა- ტურა, $^{\circ}\text{C}$	სსნარების შერევიდან სიმღვრივის წარმოქ- მნაძე გასული დრო, წმ	რეაქცი- ის ფარ- დობითი სიჩქარე, $v = 1/$
1	10	10				
2	10	10				
3	10	10				

### 3. პიმიური წონასწორობის გადანაცვლება მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციის შეცვლით

**ცდა 3.** პიპეტით აიღეთ 10 მლ რკინის (III) ქლო-  
რიდის განზავებული სსნარი და ჩაასხით პატარა ქი-  
მიურ ჭიქაში. მეორე პიპეტით აიღეთ 10 მლ კალიუმის როდანიდის განზავებული სსნარი და მიუმატეთ რკი-  
ნის (III) ქლორიდს. სსნარი მიიღებს ინტენსიურ წი-  
ოთელ ფერს, რაც გამოწვეულია რკინის (III) როდანი-  
დის წარმოქმნით:



მიღებული სსნარი განაზავეთ 60 მლ გამოხდილი წყლით. ამის შემდეგ აიღეთ ოთხი ერთნაირი დიამეტ-  
რის სინჯარა, დააწერეთ ნომრები და ყველა მათგან-  
ში 1/3-მდე ჩაასხით რკინის (III) როდანიდის განზავე-  
ბული სსნარი. პირველი სინჯარა დატოვეთ შესადა-  
რებლად. მეორე სინჯარაში დაუმატეთ 2 მლ რკინის (III) ქლორიდის ნაჯერი სსნარი, მესამე სინჯარაში –  
2 მლ კალიუმის როდანიდის ნაჯერი სსნარი, ხოლო

მეოთხე სინჯარაში მცირე რაოდენობით ჩაყარეთ მყარი კალიუმის ქლორიდი და შეანჯდრიეთ სინჯარები. ცოტა ხანში დაინახავთ, რომ მეორე და მესამე სინჯარებში ხსნარი უფრო ინტენსიურ წითელ ფერს მიიღებს, ვიდრე პირველ სინჯარაშია. ეს მოწმობს იმას, რომ წონასწორობამ გადაინაცვლა მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო მეოთხე სინჯარაში ხსნარის ფერი უფრო ბაცი გახდა, რაც იმას მოწმობს, რომ წონასწორობამ გადაინაცვლა მარჯვნიდან მარცხნივ.

## თავი მემშვე

### სსნარების დამზადება

სსნარები ეწოდება ერთგვაროვან სისტემებს, რომლებიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომელთა შედგენილობა შეიძლება შეიცვალოს გარკვეულ საზღვრებში ერთგვაროვნების დაურღვევლად. სსნარების კომპონენტებს წარმოადგენენ გამხსნელი და გახსნილი ნივთიერება. გამხსნელისა და გახსნილის ცნებები პირობითია. ის კომპონენტი, რომელსაც თავისუფალი სახით იგივე აგრეგატული მდგომარეობა აქვს, რაც სსნარს, გამხსნელია. დანარჩენ კომპონენტებს გახსნილი ნივთიერებები ეწოდება. თუ ყველა კომპონენტი ერთსა და იმავე აგრეგატულ მდგომარეობაშია, გამხსნელია ის, რომლის მასა (ან მოცულობა) მეტია.

სსნარის დახასიათების მიზნით შემოღებულია კონცენტრაციის ცნება: კონცენტრაცია ეწოდება ფარდობით სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს სსნარში კომპონენტის რაოდენობრივ შემცველობას. სსნარის კონცენტრაციის რაოდენობრივი დახასიათებისას უთითებები სსნარში კომპონენტების მასურ, მოცულობით ან მოლურ წილებს ან ფარდობებს. ამ მიზნით შემოღებულია კონცენტრაციის გამოსახვის სხვადასხვა ხერხი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**1. მასური წილი** (წინათ მას ეწოდებოდა პროცენტული კონცენტრაცია) ეწოდება გახსნილი ნივთიერების მასის ფარდობას სსნარის მასასთან. ის აღინიშნება (ომეგა) ასოთი და გამოისახება მთელის ნაწი-

ლებაცი ან პროცენტებაცი.

$$C_{\%} = \frac{m(\text{გახსნ.ნივთ.})}{m(\text{ხსნარი})},$$

$$C_{\%} = \frac{m(\text{გახსნ.ნივთ.})}{m(\text{ხსნარი})} \cdot 100,$$

სადაც  $m(\text{ხსნ.}) = m(\text{გამხსნ.}) + m(\text{გახსნ.ნივთ.}).$

**2. ხსნარის მოლარობა** გვიჩვენებს 1 ლ ხსნარში გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვს. მოლური კონცენტრაცია ჩაიწერება ასე:  $C_M(HCl) = 0,5$  მოლ/ლ და იკითხება: ხსნარში ქლორწყალბადის მოლური კონცენტრაციაა 0,5 მოლი ლიტრზე.

ხსნარის მოლარობა შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით

$$C_M = \frac{n}{V},$$

სადაც  $n$  – გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვი,  $V$  – ხსნარის მოცულობა.

**3. ხსნარის ნორმალობა** გვიჩვენებს 1 ლ ხსნარში გახსნილი ნივთიერების ექვივალენტების რაოდენობას; აღინიშნება  $C_N$ -ით. მისი გამოთვლა შეიძლება ფორმულით

$$C_N = \frac{Ea}{V},$$

სადაც  $C_N$  – ხსნარის ნორმალური კონცენტრაციაა,

$E$  – გახსნილი ნივთიერების ექვივალენტი,

$a$  – გახსნილი ნივთიერების ექვივალენტების რიცხვი,

$V$  – ხსნარის მოცულობა.

ხსნარს, რომლის 1 ლ შეიცავს გახსნილი ნივთიერების 1 ექვივალენტს ეწოდება ერთნორმალური, 0,1 ექვივალენტს – დეცინორმალური, 0,01 ექვივალენტს –

სანტინორმალური.

**4. მოლალობა** ეწოდება ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც უდრის გახსნილი ნივთიერების რაოდენობის ფარდობას გამხსნელის მასასთან. აღინიშნება  $C_m$  ასოთი.

$$C_m = \frac{n(\text{გახსნ. ნივთ.})}{m(\text{გამხსნ.})}.$$

მისი ერთეულია მოლი/კგ ან მოლი/გ. მაგ.,  $C_m(\text{NaCl}) = 2$  მოლი/კგ ნიშნავს, რომ ხსნარში ნატრიუმის ქლორიდის მოლალობაა 2 მოლი/კგ, ანუ ასეთ ხსნარში ყოველ 1 კგ წყალში 2 მოლი NaCl-ია გახსნილი.

ერთნაირი ნორმალობის ხსნარები ერთმანეთთან რეაგირებს ტოლი მოცულობებით, რაც შეესაბამება რიხტერის ექვივალენტების კანონს. თუ ხსნართა ნორმალობა განსხვავებულია, მაშინ რეაქციაში შესული ხსნარების მოცულობა მათი ნორმალობების უპუპროპრიციულია:

$$\frac{C_N}{C_{N_2}} \cdot \frac{V}{V_1},$$

საიდანაც

$$C_{N_1} V_1 - C_{N_2} V_2,$$

სადაც  $C_{N_1}$  და  $V_1$  – პირველი ხსნარის ნორმალობა და მოცულობაა, ხოლო  $C_{N_2}$  და  $V_2$  – მეორე ხსნარისა.

ხსნარების კონცენტრაცია შეიძლება დავახსიათოთ აგრეთვე ტიტრით. **ტიტრი** ეწოდება რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს 1 მლ ხსნარში გახსნილი ნივთიერების მასას, გამოსახულს გრამებით. ხსნარს, რომ-

ლის ტიტრი ცნობილია, ტიტრიანი ხსნარი ეწოდება, ხოლო ტიტრიანი ხსნარით ხსვა ხსნარის კონცენტრაციის განსაზღვრას გატიტვრა ეწოდება. გატიტვრას შემდეგნაირად ახდენენ: იღებენ გარკვეული მოცულობით გასატიტრ, ანუ უცნობი კონცენტრაციის ხსნარს, ამატებენ ინდიკატორს და შემდეგ უმატებენ ტიტრიან ხსნარს რეაქციის დამთავრებამდე. რეაქციის დამთავრებას დაადგენენ ინდიკატორის ფერის შეცვლით. გასატიტრი და ტიტრიანი ხსნარების მოცულობების საშუალებით გამოითვლება ხსნარის ტიტრი.

მჟავასა და ფუძეს შორის ურთიერთქმედების რეაქციას, რომლის შედეგადაც მიიღება მარილი და წყალი, ნეიტრალიზაცია ეწოდება. მაგ.,



მჟავას ან ტუტის განეიტრალების დასრულების დასადგენად იყენებენ ნივთიერებებს – ინდიკატორებს. ქიმიის ლაბორატორიაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ინდიკატორები: ლაკმუსი, ფენოლფტალეინი და მეთოლნარინჯი. იმისათვის, რომ მივაღწიოთ სრულ ნეიტრალიზაციას, მჟავა და ტუტე უნდა ავიღოთ ექვივალენტური რაოდენობებით. მაგ., ერთ ექვივალენტ ტუტეს ანეიტრალებს ერთი ექვივალენტი მჟავა. განეიტრალების დროს გამოანგარიშების გასააღვილებლად საჭიროა ვიცოდეთ ხსნარის ტიტრიც. გატიტვრის დროს მოცულობათა ზუსტი გაზომვისათვის იხმარება ბიურეტი, ხოლო ხსნარის მოცულობის ერთბაშად გაზომვისათვის – პიპეტი.

## სამუშაო №5

### ხსნარების დამზადება

#### ა) ნატრიუმის ქლორიდის 5 %-იანი ხსნარის დამზადება

**ცდა 1.** აიღეთ სუფრის მარილი. თუ ის მსხვილ კრისტალებს შეიცავს, ფაიფურის როდინში გააფხვიერეთ. გამოიანგარიშეთ სუფრის მარილის რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება 250 გ იმ ხსნარის მოსამზადებლად, რომელშიც სუფრის მარილის მასური წილი იქნება 5.

ქიმიურ-ტექნიკურ სასწორზე აწონეთ საათის მინაზე ან სუფთა ქაღალდზე მოთავსებული სუფრის მარილის საჭირო რაოდენობა 0,01 გ სიზუსტით. შემდეგ გადაიტანეთ 500 მლ-იან სუფთა ქიმიურ ჭიქაში და დაუმატეთ წინასწარ გაანგარიშებული წყლის რაოდენობა მოცულობით (გაითვალისწინეთ, რომ 1 მლ წყალი დაახლოებით 1 გ იწონის). მარილი გახსენით მინის წყირის მორევით. მიღებული ხსნარი შეინახეთ სარეაქტივო ბოთლში და გაუკეთეთ წარწერა „5 %-იანი NaCl“.

#### ბ) დეცინორმალური ხსნარების დამზადება

**ცდა 2.** დამზადეთ გოგირდმჟავას 0,1 N ხსნარი 500 მლ მოცულობით. ამისათვის არეომეტრით განსაზღვრეთ ლაბორატორიაში არსებული კონცენტრირებული გოგირდმჟავას სიმკვრივე და გაიგეთ ამის

მიხედვით მუაგას პროცენტული კონცენტრაცია ცხრილში (იხ. ცნობარი). გაიანგარიშეთ გოგირდმჟავას ექვივალენტური მასა  $m_{eq} = M/2$  ფორმულით, სადაც  $M$  გოგირდმჟავას მოლური მასაა. გამოითვალეთ 500 მლ ანუ 0,5 ლ ხსნარის დასამზადებლად საჭირო გოგირდმჟავას ექვივალენტური მასა, შემდეგ კი დაადგინეთ ოქვენ მიერ აღებული კონცენტრაციის გოგირდმჟავას რა რაოდენობის ხსნარში იქნება ეს ექვივალენტური მასა. გოგირდმჟავას ხსნარის ეს რაოდენობა გადაიყვანეთ მოცულობაში ფორმულით:  $V_{ხს} = m_{ხს}/$ . გამოთვლების შემდეგ პიპეტით ამოიღეთ საჭირო მოცულობის გოგირდმჟავა და ჩაასხით 500 მლ-იან საზომ კოლბაში, რომელშიც წინასწარ გამოხდილი წყალი უნდა მოათავსოთ. შემდეგ კოლბა შეავსეთ ჭდემდე გამოხდილი წყლით. გაუკეთეთ წარწერა „ $H_2SO_4$  0,1 N“ და შეინახეთ.

**ცდა 3.** დაამზადეთ 200 მლ ანუ 0,2 ლ სოდის დეცინორმალური ხსნარი. ამისათვის სოდა  $Na_2CO_3$  წინასწარ გააუწყლოთ, შემდეგ იანგარიშეთ, თუ რა რაოდენობით უნდა აიღოთ უწყლო მარილი 200 მლ 0,1 N ხსნარის დასამზადებლად. აწონეთ ანალიზურ სასწორზე ნივთიერება, ჩაყარეთ 200 მლ-იან საზომ კოლბაში და დაუმატეთ გამოხდილი წყალი. მარილი სრულად გახსენით ინტენსიური ნჯლრევით. შემდეგ შეავსეთ წყლით კოლბა ჭდემდე. გაუკეთეთ ეტიკეტი „ $Na_2CO_3$  0,1 N“ და შეინახეთ.

### გატიტვრა

შეისწავლეთ პიპეტის ხმარება. ამისათვის ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით გამოხდილი წყალი და ამოიღეთ მისგან 5 მლ, 10 მლ, 15 მლ წყალი პიპეტით. ასევე შეის-

წავლეთ ბიურეტით მუშაობა. კარგად დააკვირდით დანაყოფებს. დაინიშნეთ, რომელ ბიურეტშია მჟავა ჩასხმული, ხოლო რომელში – ტუტე. გასატიტო ხსნარს იდებენ ქიმიური ჭიქით ან ერლენმეიერის კოლბით, უმჯობესია უკანასკნელი, რადგან ტიტვრის პროცესში უნდა ანჯღრიოთ სითხიანი კოლბა.

**ცდა 4.** შტატივზე დამაგრებულ ბიურეტში ძაბრის მეშვეობით ჩაასხით გოგირდმჟავას ხსნარი. აიღეთ მშრალი ერლენმეიერის კოლბა, ჩაასხით მასში პიპეტით 20 მლ 0,1 N Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub>-ის ხსნარი (თქვენს მიერ მომზადებული) და დაუმატეთ 2-3 წვეთი მეთილნარინჯი. ხსნარი მიიღებს ყვითელ შეფერილობას. დაიწყეთ ტიტვრა. ამისათვის კოლბა ბიურეტის ქვეშ დადგით თეთრ ქაღალდზე და ფრთხილად გახსენით ონკანი. ამატეთ წვეთწვეთობით, სანამ ხსნარი არ მიიღებს ნარინჯისფერს. ბიურეტის ონკანი უცებ დაკეტეთ და აითვალეთ დახარჯული მჟავას რაოდენობა. სიზუსტისათვის გატიტვრა 2-3-ჯერ ჩაატარეთ და თუ შედეგს თანხვდენს მიიღებთ, დაიწყეთ გამოთვლა. განსაზღვრეთ გოგირდმჟავას ხსნარის ხორმალობა და ტიტრი (ისარგებლეთ ფორმულით C<sub>N<sub>1</sub></sub> • V<sub>1</sub> C<sub>N<sub>2</sub></sub> • V<sub>2</sub>).

## თავი მეშვიდე

### მარილთა ჭიათუ


**ზოგიერთი მარილის მიღების ხერხი**

**ნეიტრალიზაცია**

მჟავებსა და ტუტეებს შორის ურთიერთქმედების რეაქციას ნეიტრალიზაციის რეაქცია ეწოდება. განე-იტრალების დროს მჟავა კარგავს თავის მჟავურ თვი-სებებს, ტუტე – ტუტისას, ე.ი. ერთი ანეიტრალებს მე-ორეს, რის შედეგადაც მიიღება მარილი და წყა-ლი. მაგ.



ან



ნეიტრალიზაციის დროს გამოიყოფა სითბო. პესმა დაადგინა, რომ ძლიერ მჟავებსა და ძლიერ ტუტეებს შორის რეაქციის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდე-ნობა დაახლოებით ერთნაირია. თუ სუსტი მჟავა ან სუსტი ტუტე ნეიტრალდება ძლიერი მჟავით ან ძლიე-რი ტუტით, ნეიტრალიზაციის სითბო სხვადასხვა შე-იძლება იყოს.

როგორც ვიცით, ნეიტრალიზაციის შედეგად მიი-დება მარილი. მარილი როგორ ნივთიერებაა, რომე-ლიც შედგება ლითონისა და მჟავას ნაშთის იონები-საგან. მარილების სახელწოდება მომდინარეობს მჟა-ვთა სახელწოდებიდან, ხოლო ფორმულის შედგენა

ექვემდებარება ლითონისა და მჟავური ნაშთის ვალენტობას. შედგენილობის მიხედვით მარილები არსებობს სრული და არასრული, ორმაგი, კომპლექსური.

**სრული** ანუ ნორმალური მარილები ისეთი მარილებია, რომელთა მოლეკულები არ შეიცავს წყალბადისა ( $H^+$ ) და ჰიდროქსილის ( $OH^-$ ) იონებს. მაგ., სრული მარილებია  $NaCl$ ,  $Na_2SO_4$ ,  $CaBr_2$ ,  $Cu(NO_3)_2$ ,  $AlCl_3$ ,  $Na_3PO_4$ ,  $Fe_2(SO_4)_3$  და ა.შ.

**არასრული** მარილები არსებობს ორგვარი: მჟავა მარილი და ფუძე მარილი. **მჟავა მარილი** ისეთი მარილია, რომლის მოლეკულაში, გარდა ლითონის ატომისა და მჟავური ნაშთისა, არის კიდევ წყალბადის ატომები, რომელთა ჩანაცვლება შეიძლება ლითონის ატომით. მაგალითად,  $NaHCO_3$ ,  $KHSO_4$ ,  $K_2HPO_4$ ,  $NaH_2PO_4$ ,  $Ca(HCO_3)_2$  და ა.შ.

**ფუძე მარილი** ეწოდება ისეთ მარილს, რომლის მოლეკულაში, გარდა ლითონის ატომის და მჟავური ნაშთისა, არის კიდევ ჰიდროქსილის ჯგუფი, რომელიც შეიძლება ჩაინაცვლოს მჟავური ნაშთით. მაგალითად,  $CaOHCl$ ,  $CuOHNO_3$ ,  $Al(OH)_2NO_3$ ,  $(MgOH)_2CO_3$  და ა.შ.

**ოქსიმარილები** ისეთი მარილებია, რომელთა მოლეკულაში, გარდა ლითონისა და მჟავური ნაშთისა, არის ჟანგბადის ატომი. მაგალითად,  $BiOCl$  – ბისმუტის (III) ოქსიქლორიდი,  $SbONO_3$  – სტიბიუმის (III) ოქსინიტრატი.

**ორმაგი მარილი** ისეთი მარილია, რომლის შემადგენლობაში ერთი სახის მჟავურ ნაშთთან დაკავშირებულია სხვადასხვა ლითონის ატომი, მაგ.,  $KAl(SO_4)_2$ ,  $NaCl \cdot KCl$ .

კომპლექსური მარილებია  $K_4[Fe(CN)_6]$ ,  $[Ag(NH_3)_2]Cl$ ,

$K_3[Fe(CN)_6]$ ,  $[Cu(NH_3)_4]SO_4$  და ა.შ.

კომპლექსური მარილების აგებულების თეორია შეიქმნა ა. ვერნერის მიერ. კომპლექსურ მარილებში გვაქვს შიგა და გარე სფერო. მაგ.,  $K_3[Fe(CN)_6]$ -ში შიგა სფეროა  $[Fe(CN)_6]^{3-}$ , ხოლო  $3K^+$  არის გარე სფერო.

## სამუშაო №6

### ცდა I. ნორმალური მარილის მიღება

პიპეტის დახმარებით ფაიფურის ჯამში ჩაასხით 20 მლ 2N მარილმჟავა და მას დაუმატეთ პიპეტით 20 მლ 2N ნატრიუმის ტუტის ხსნარი. უნდა მიიღოთ ნეიტრალური ხსნარი. შეამოწმეთ ხსნარის რეაქცია. ამისათვის მინის წკირით გადაიტანეთ ერთი წვეთი ლაქმუსიან ქაღალდზე. თუ ხსნარი აღმოჩნდა მჟავე ან ტუტე რეაქციის, მაშინ ის ზუსტად გაანეიტრალეთ წვეთწვეთობით მჟავით ან ტუტით. დარწმუნდებით რა სრულ ნეიტრალიზაციაში, ფაიფურის ჯამი ხსნარი-თურთ გადაიტანეთ წყლის აბაზანაზე, ააორთქლეთ მშრალი ნაშთის მიღებამდე. თქვენ მიიღებთ სუფრის მარილს.


სრული მარილი შეიძლება მიიღოთ ფუძე ოქსიდზე, მაგ., სპილენბის (II) ოქსიდზე განზავებული გოგირდ-მჟავას მოქმედებით. რეაქციის მიმღინარეობას სჭირდება გაცხელება. სპირტქურაზე ფაიფურის ჯამით გააცხელეთ სარეაქციო ნარევი. როდესაც ფაიფურის ჯამში ხსნარი ცისფერ ფერს მიიღებს, შეწყვიტეთ გაცხელება. ააორთქლეთ წყლის აბაზანაზე კრისტალიზაციის დაწყებამდე. გაციების შემდეგ ჯამში გამოიყოფა შაბიამნის კრისტალები.

სრული ანუ ნორმალური მარილის მიღება შეგიძლიათ აქტიურ ლითონებზე მჟავას მოქმედებით, მაგ., ლითონურ თუთიაზე განზავებული გოგირდმჟავას ან მარილმჟავას მოქმედებით. რეაქციის დამთავრებას გაზის ბუშტების გამოყოფის შეწყვეტით მიხვდებით.

გაფილტვრისა და კრისტალიზაციის მეთოდით ამჯერადაც შეიძლება მარილის გამოყოფა. მარილის მიღება შესაძლებელია ორ სხვადასხვა მარილს შორის მიმოცვლის რეაქციით, მაგრამ ისე უნდა შევარჩიოთ მარილის ხსნარები, რომ მოსალოდნელი ახალი მარილებიდან ერთ-ერთი ნალექი იყოს.

### **ცდა 2. ნატრიუმის ჰიდროსულფატის მიღება**

ფაიფურის ჯამში ჩაასხით პიპეტით 25 მლ 2N გოგირდმჟავა. მას თანდათან მიუმატეთ 25 მლ 2N ნატრიუმის ტუტის ხსნარი. განხორციელდება შემდეგი რეაქცია:




მიუმატეთ მიღებულ ხსნარს კიდევ 25 მლ 2N გოგირდმჟავას ხსნარი. შედეგად უნდა წარმოიქმნას მჟავე მარილი – ნატრიუმის ჰიდროსულფატი:



ხსნარის აორთქლებითა და კრისტალიზაციით შეიძლება გამოყოთ მარილის კრისტალები. მიღებული მარილი გახსენით გამოხდილ წყალში და შეამოწმეთ ხსნარის რეაქცია.

### **ცდა 3. სპილენბის ფუძე სულფატის მიღება**

პატარა ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით 15-20 მლ სპილენბის (II) სულფატის ხსნარი. მას დაამატეთ მცირე რაოდენობით განზავებული ტუტის ხსნარი. ხსნარი გააცხელეთ ადულებამდე. წარიმართება რეაქცია:



თუ ტუტე ჭარბადაა დამატებული, მაშინ ნალექი გაშავდება, რადგან ჭარბი რაოდენობით ტუტის დამატების შემთხვევაში წარმოიქმნება არა ფუძე მარილი, არამედ სპილენძის (II) ჰიდროქსიდი  $\text{Cu(OH)}_2$ , რომელიც გაცხელებით დაიშლება  $\text{CuO}$  და  $\text{H}_2\text{O}$ -დ. თუ ხსნარი არ გაშავდა გაცხელებისას და მისგან გამოიყო მომწვანო-ნაცრისფერი ნალექი, ხსნარი გაფილტრეთ. ფილტრზე დარჩება სპილენძის ფუძე სულფატის ნალექი.

#### ცდა 4. ალუმინის ჟაბის მიღება

აიღეთ ორი ბრტყელძირა კოლბა. ერთში ჩაასხით 9 მლ გამოხდილი წყალი და ჩაყარეთ 2,3 გ კალიუმის სულფატი. მეორე კოლბაში ჩაასხით 7,5 მლ გამოხდილი წყალი და შეამჟავეთ 2-3 წვეთი კონცენტრირებული გოგირდმჟავით, შემდეგ ჩაყარეთ 9 გ ალუმინის სულფატი  $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3 \cdot 18\text{H}_2\text{O}$ .

ორივე კოლბა გააცხელეთ 100 C-მდე და ცხელი ხსნარები შეურიეთ ერთმანეთს, დააყოვნეთ. გამოიყოფა ალუმინის ჟაბის ლამაზი კრისტალები:



#### ცდა 5. სპილენძის (II) ტეტრაამიაკატის მიღება

აიღეთ 100 მლ-იანი ქიმიური ჭიქა. ჩაყარეთ მასში 8 გ სპილენძის (II) სულფატის ფეხნილი. მიუმატეთ მას 10 მლ გამოხდილი წყალი. გახსენით კარგად და შემდეგ დაამატეთ 15 მლ კონცენტრირებული ამონიუმის ტუტე უნდა წარმოიქმნას კომპლექსური მარილი – სპილენძის (II) ტეტრაამიაკატი. ხსნარი მიიღებს ლაჟვარდის ფერს. ამის შემდეგ ხსნარს წვეთწვეთობით და შეუნჯღრებულად დაუმატეთ 15 მლ ეთილის

სპირტი. დააყოვნეთ. გამოიყოფა იისფერ-ლურჯი ფერის –  $[Cu(NH_3)_4]SO_4 \cdot H_2O$  კომპლექსური მარილის წვრილი კრისტალები. ხსნარი შეგიძლიათ გადაწუროთ სხვა ჭიქაში, ხოლო დარჩენილი კრისტალები გადაიტანეთ ფილტრზე და ჩარცხეთ სპირტით. შემდეგ გააშრეთ ფილტრის ქაღალდებს შორის.

### **ცდა 6. განსხვავება რკინის ორმაგ და კომპლექსურ მარილებს შორის**

სინჯარაში ჩაასხით რკინის (III) სულფატის  $Fe_2(SO_4)_3$  ხსნარი და მიუმატეთ რამდენიმე წვეთი ნატრიუმის ტუტის ხსნარი. დაიღექება რკინის (III) ჰიდროქსიდის ყავისფერი ნალექი:



ამის შემდეგ აიღეთ ორი სინჯარა. ერთში ჩაასხით რკინა-ამონიუმის შაბის  $(NH_4)_2SO_4 \cdot Fe_2(SO_4)_3$  ხსნარი, ხოლო მეორეში – სისხლის წითელი მარილის  $K_3[Fe(CN)_6]$  ხსნარი. ორივე სინჯარაში ხსნარებს მიუმატეთ ნატრიუმის ტუტები დაინახავთ, რომ იმ სინჯარაში, რომელშიც ჩასხმული გქონდათ რკინა-ამონიუმის შაბის ხსნარი, დაიღექება რკინის (III) ჰიდროქსიდი. შაბის ხსნარში არის რკინის (III) იონები, რომლებიც ჰიდროქსილის იონებთან წარმოქმნის უსხსნად  $Fe(OH)_3$ -ს. შეადარეთ ეს ნალექი წინა ცდაში წარმოქმნილ ნალექს. მეორე სინჯარაში ნალექი არ წარმოიქმნება, რადგან სისხლის წითელი მარილის ხსნარში რკინა არ არის თავისუფალი იონის სახით, არამედ ის შედის კომპლექსური იონის  $[Fe(CN)_6]^{3-}$  შემადგენლობაში.

## თავი მერვე

### ელექტროლიტური დისოციაცია

ელექტროლიტების თვისებები აიხსნება თეორიით, რომელიც 1887 წელს ჩამოყალიბა შვედმა მეცნიერმა ს. არენიუსმა. თეორიას, რომლის მიხედვით ელექტროლიტების სპეციფიკური თვისებები მათი იონებად დაშლასთანაა დაკავშირებული, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია ეწოდება.

ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის თანახმად, წყალში გახსნისას მჟავები, ფუძეები და მარილები იონებად იშლება. ამ პროცესს ელექტროლიტური დისოციაცია ეწოდება. იმ ნივთიერებებს, რომელთა ნალლობები და წყალსნარები ელექტროდენს ატარებენ, ელექტროლიტები ეწოდებათ, ხოლო იმ ნივთიერებებს, რომელთა ნალლობები და წყალსნარები ელექტროდენს არ ატარებენ – არაელექტროლიტები. ელექტროლიტებია: მჟავები, ფუძეები, მარილები. ხოლო არაელექტროლიტებია: შაქარი, გლიცერინი, სპირტი და ა.შ. ელექტროლიტები წყალში გახსნისას იონებად იშლება, ე.ი. განიცდიან ელექტროლიტურ დისოციაციას, ხოლო არაელექტროლიტები წყალში გახსნისას იონებად არ იშლება და მაშასადამე, არ განიცდიან ელექტროლიტურ დისოციაციას.

ელექტროლიტური დისოციაცია შექცევადი პროცესია, ე.ი. დისოციაციასთან ერთდროულად ხორციელდება საწინააღმდეგო პროცესი – იონებისაგან მოლეკულების წარმოქმნა, ამიტომ სუსტი ელექტროლიტურ

ბის ხელარებში ადგილი აქვს წონასწორობას იონებსა და არადისოცირებულ მოლეკულებს შორის. მაგალითად, ციანმჟავას ელექტროლიტური დისოციაცია გამოისახება ასეთი განტოლებით:



ასეთ წონასწორობას იონური წონასწორობა ეწოდება. თუ პროცესის პირობებს შევცვლით, შეიძლება წონასწორობის გადანაცვლება ამა თუ იმ მხარეს. სხვადასხვა ელექტროლიტი ხელარებში ერთნაირად არ არის დაშლილი. ელექტროლიტთა იონიზაციის რაოდენობრივი დახასიათებისათვის შემოღებულია დისოციაციის ხარისხის ცნება. დისოციაციის ხარისხი წარმოადგენს დისოცირებული მოლეკულების რიცხვის ფარდობას გახსნილი მოლეკულების რიცხვთან:

$$\alpha = \frac{n}{N},$$

სადაც  $n$  – დისოცირებული მოლეკულების რიცხვია,  
 $N$  – გახსნილი მოლეკულების რიცხვი.

დისოციაციის ხარისხი გამოისახება როგორც მთელის ნაწილებში (მერყეობს 0-1-ს შორის), ისე პროცენტებში (მერყეობს 0-100 %-ს შორის).

0,1N ხელარები დისოციაციის ხარისხის მიხედვით ელექტროლიტები იყოფა სამ ჯგუფად:

1. ელექტროლიტებს, რომელთა დისოციაციის ხარისხი  $> 30\%$ , ეწოდებათ ძლიერი ელექტროლიტები. ძლიერი ელექტროლიტებია თითქმის ყველა მარილი, მეჯვები  $\text{HCl}$ ,  $\text{HBr}$ ,  $\text{HI}$ ,  $\text{HNO}_3$ ,  $\text{H}_2\text{SO}_4$ ,  $\text{HClO}_4$ , ტუტე და ტუტემიწათა ლითონების პიდროქსიდები –  $\text{LiOH}$ ,  $\text{NaOH}$ ,  $\text{KOH}$ ,  $\text{RbOH}$ ,  $\text{Ca(OH)}_2$ ,  $\text{Sr(OH)}_2$ ,  $\text{Ba(OH)}_2$ .

2. ელექტროლიტებს, რომელთა დისოციაციის ხარისხი < 3 %, ეწოდებათ სუსტი ელექტროლიტები. სუსტი ელექტროლიტებია: HCN, H<sub>2</sub>S, H<sub>2</sub>SiO<sub>3</sub>, H<sub>3</sub>BO<sub>3</sub>, Cr(OH)<sub>3</sub>, CdCl<sub>2</sub>, HgCl<sub>2</sub> და ა.შ.
3. ელექტროლიტებს, რომელთა დისოციაციის ხარისხი იცვლება შემდეგ ზღვრებში: 3 % < < 30 %, ეწოდებათ საშუალო სიძლიერის ელექტროლიტები. მათ მიეკუთვნება მჟაფრნმჟაფა H<sub>2</sub>C<sub>2</sub>O<sub>4</sub>, ჭიანჭველმჟაფა HCOOH, აგრეთვე H<sub>2</sub>SO<sub>3</sub>, H<sub>3</sub>PO<sub>4</sub>.

თუ ტუტებს, მარილებს ან მჟავებს წყალში გავხსნით და ამ ხსნარებში ჩავუშვებთ მუდმივი დენის წყაროსთან შეერთებულ ელექტროდებს, მაშინ ხსნარში მყოფი იონები დაიწყებენ მოძრაობას. დადებითი იონები მოძრაობენ კათოდისაკენ (დენის წყაროს უარყოფითი პოლუსი), ამიტომ მათ კათიონები ეწოდათ, ხოლო უარყოფითი იონები ანოდისაკენ (დენის წყაროს დადებითი პოლუსი) და მათ ანიონები ეწოდათ.

მიაღწევენ რა კათოდს, დადებითი იონები განიმუხებიან და გადაიქცევიან ნეიტრალურ ატომებად, ასევე უარყოფითი იონები, მიაღწევენ რა ანოდს, გარდაიქმნებიან ნეიტრალურ ნაწილაკებად. ელექტროლიტის ხსნარში დენის გატარების დროს მიმდინარე ქიმიურ პროცესს ეწოდება ელექტროლიზი. ამრიგად, ელექტროლიზის წინა პირობა არის ელექტროლიტური დისოციაცია.

ელექტროლიტების იონებად დაშლას ადგილი აქვს გამდნარ მდგომარეობაშიც.


ამრიგად, მჟავა ისეთი ელექტროლიტია, რომელიც წყალში გახსნისას იძლევა წყალბადის კათიონებსა და მჟავური ნაშთის ანიონებს (1). მრავალფუძიანი

მჟავების დისოციაცია ხდება საფეხურებად. მაგალითად:




ყველა მჟავა დისოციაციის შედეგად წარმოქმნის წყალბადიონებს, ამიტომ მჟავების საერთო ოვისებები განისაზღვრება სწორედ წყალბადიონებით.

ფუძე ისეთი ელექტროლიტია, რომელიც წყალში გახსნისას იძლევა ლითონის კათიონებსა და ჰიდროქსილის ანიონებს (2). მრავალმჟავური ფუძეები დისოცირდება საფეხურებად. მაგალითად:



ამრიგად, ყველა ფუძე დისოციაციის შედეგად იძლევა ჰიდროქსილიონებს, ამიტომ ამ იონებით განისაზღვრება ფუძეების საერთო ოვისებები.

ნორმალური მარილები წყალში გახსნისას წარმოქმნიან ლითონის კათიონებსა და მჟავური ნაშთის ანიონებს. მაგალითად:



წყალი წარმოადგენს ძალიან სუსტ ელექტროლიტს. მისი დისოციაცია გამოისახება შემდეგი განტოლუბით:



ქიმიურად სუფთად წყალში წყალბადისა და ჰიდროქსილის იონთა კონცენტრაცია ტოლია:  $[\text{H}^+] = [\text{OH}^-] = 1 \cdot 10^{-7}$  მოლი/ლ.

## სამუშაო №7

### მუნიციპალიტეტის შედარება

**ცდა 1.** აიღეთ სამი სინჯარა. პირველში ჩაასხით 5 მლ 20 %-იანი გოგირდმჟავას, მეორეში – 5 მლ 20 %-იანი მარილმჟავას, მესამეში იმავე რაოდენობის 20 %-იანი ძმარმჟავას ხსნარები. თითოეულ მათგანში ჩააგდეთ დაახლოებით ერთნაირი სიდიდის თუთიის თითო ნაჭერი და დააკვირდით, რომელ სინჯარაში უფრო ენერგიულად გამოიყოფა წყალბადი. დაკვირვების შემდეგ ახსენით, რატომ გამოიყოფა ყველაზე უფრო ენერგიულად წყალბადი მარილმჟავიან და ყველაზე უფრო სუსტად ძმარმჟავიან სინჯარაში.

### მუნიციპალიტეტის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე

**ცდა 2.** აიღეთ სამი სინჯარა. ერთში ჩაასხით 5 მლ 10 %-იანი გოგირდმჟავას, მეორეში 5 მლ 50 %-იანი, მესამეში 5 მლ 90 %-იანი გოგირდმჟავას ხსნარები. თითოეულ სინჯარაში ჩააგდეთ ერთნაირი სიდიდის თუთიის თითო ნაჭერი. დააკვირდით, რომელ სინჯარაში უფრო ენერგიულად მიმდინარეობს რეაქცია. გამოიტანეთ დასკვნა, რომელ შემთხვევაში უფრო მეტია წყალბადითა კონცენტრაცია და როგორ არის დამოკიდებული დისოციაციის ხარისხი ხსნარის კონცენტრაციაზე.

## იონური წონასწორობის გადანაცვლება

**ცდა 3.** აიღეთ ორი სინჯარა. ერთში ჩაასხით 5 მლ 0,1N ძმარმჟავას ხსნარი, მეორეში – იმავე რაოდენობით გამოხდილი წყალი. ორივე სინჯარაში სითხე-ებს მიუმატეთ ორ-ორი წვეთი მეთილნარინჯის ხსნარი. დააკვირდით ფერებს – ძმარმჟავიანი სინჯარა მი-იღებს ვარდისფერს, ხოლო მეორე, სადაც წყალი ას-ხია – ნარინჯისფერს. შემდეგ ძმარმჟავიან სინჯარაში ჩაყარეთ მცირე რაოდენობით ნატრიუმის აცეტატი და ნჯდრევით გახსენით. შეამჩნევთ, რომ ხსნარი მიიღებს ნარინჯისფერს, როგორიც არის წყლიან სინჯარაში. ეს შემდეგნაირად აიხსნება: ძმარმჟავას (როგორც სუსტი ელექტროლიტის) ხსნარში არსებობს წონას-წორობა არადისოცირებულ მოლეკულებსა და აცე-ტატ- და წყალბადიონებს შორის:



ნატრიუმის აცეტატის დამატებით გაიზარდა აცე-ტატიონების კონცენტრაცია, ამან კი გამოიწვია წო-ნასწორობის გადანაცვლება მარცხნივ და წყალბადი-ონების კონცენტრაციის შემცირება, ე.ი. ძმარმჟავას დისოციაციის შემცირება.

ამრიგად, სუსტი ელექტროლიტის ხსნარში ერთსა-ხელიანი იონების შეყვანა ამცირებს ელექტროლიტის დისოციაციის ხარისხს.

**ცდა 4.** ორ სინჯარაში ჩაასხით 5-5 მლ 0,1N ძმარმჟავას ხსნარი. ჩააგდეთ მათში დაახლოებით ერთნაირი ზომის თითო ნაჭერი თუთია და დააკვირ-დით წყალბადის გამოყოფის სიჩქარეს. როდესაც წყალბადის გამოყოფა დაიწყება თანაბარი სიჩქარით, მაშინ ერთ-ერთში ჩაუმატეთ მცირეოდენი მყარი ნატ-რიუმის აცეტატი. შეამჩნევთ, რომ წყალბადის გამო-

ყოფა ამ სინჯარაში საგრძნობლად შემცირდება. ახ-  
სენით ამის მიზეზი.

**ცდა 5.** ორ სინჯარაში ჩაასხით 5-5 მლ განზავე-  
ბული ამონიუმის ტუტის ხესნარი NH<sub>4</sub>OH და მიუმატეთ  
2-2 წვეთი ფენოლფტალეინის ხესნარი. ორიგვე სინჯა-  
რაში ხესნარები ერთნაირი ინტენსივობით შეიფერება.  
ამის შემდეგ ერთ-ერთში ჩაყარეთ ამონიუმის ქლორი-  
დის კრისტალები და სინჯარა ანჯლრიეთ მარილის  
გახსნამდე. დააკვირდით სინჯარაში ხესნარის ფერის  
თანდათანობით გაფერმკრთალებას. ახსენით ამის მი-  
ზეზი.

### მიმოცვლის რეაქციები ელექტროლიტთა ხესნარებში

**ცდა 6.** აიღეთ სამი სინჯარა. ერთში ჩაასხით მა-  
რილმჟავას, მეორეში – ნატრიუმის ქლორიდის, მესა-  
მეში – კალციუმის ქლორიდის ხესნარები. შემდეგ სა-  
მივე სინჯარაში ხესნარებს მიუმატეთ რამდენიმე წვე-  
თი ვერცხლის ნიტრატის ხესნარი. შენიშნავთ, რომ  
AgNO<sub>3</sub>-ის დამატებისას სამივე სინჯარაში სწრაფად  
წარმოიქმნება თეთრი ფერის ხაჭოსებრი ნალექი. ამ-  
რიგად, ვერცხლის ქლორიდის ნალექის წარმოქმნას  
ადგილი აქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც  
ხესნარში ერთმანეთს შეხვდება Ag<sup>+</sup> და Cl<sup>-</sup> იონები.

ახლა აიღეთ სამი სინჯარა: ერთში ჩაასხით ქლო-  
როფორმი CHCl<sub>3</sub>, მეორეში – ოთხქლორიანი ნახშირ-  
ბადი CCl<sub>4</sub>, ხოლო მესამეში – ბერთოლეს მარილის  
KClO<sub>3</sub>-ის ხესნარი. სამივე სინჯარაში ჩაუმატეთ რამდე-  
ნიმე წვეთი ვერცხლის ნიტრატის ხესნარი. შენიშნავთ,  
რომ არცერთ სინჯარაში ნალექი – AgCl არ წარმო-  
იქმნება, თუმცა აღებული ნივთიერებები შეიცავს  
ქლორს. როგორც ჩანს, ამ ნივთიერებებში ქლორი

სულ სხვა მდგომარეობაშია, ვიდრე მარილმჟავაში, ნატრიუმისა და კალციუმის ქლორიდებში. ქლოროფორმი და ოთხქლორიანი ნახშირბადი არაელექტროლიტებია და იონებად არ დისოცირდება, ხოლო ბერთოლეს მარილი, მართალია, ულექტროლიტია, მაგრამ თავისუფალ  $\text{Cl}^-$  იონებს არ იძლევა. იგი სსნარში შეიცავს  $\text{K}^+$  და  $\text{ClO}_3^-$  იონებს.

მშრალ სინჯარაში ჩაყარეთ ცოტაოდენი ბერთოლეს მარილი და გაახურეთ სპირტქურის ალზე, სანამ გალლობილი მარილისაგან გაზის ბუშტულების გამოყოფა არ შეწყდება. სინჯარა გააცივეთ, ჩაასხით მასში გამოხდილი წყალი და ნჯლრევით გახსენით. გამჭვირვალე სსნარს დაუმატეთ ვერცხლის ნიტრატის სსნარი, წარმოიქმნება ნალექი – თეთრი ხაჭოსებრი  $\text{AgCl}$ . ახსენით ნალექის წარმოქმნის მიზეზი.


**ცდა 7.** აიღეთ ოთხი სინჯარა. პირველში ჩაასხით ბარიუმის ქლორიდის, მეორეში – ბარიუმის ნიტრატის, მესამეში – სპილენდის (III) სულფატისა და მეოთხეში – სპილენდის (II) ნიტრატის სსნარები. პირველ სინჯარაში ჩაასხით განზავებული გოგირდმჟავას, მეორეში – ნატრიუმის სულფატის, მესამეში – კალიუმის ტუტის, მეოთხეში – ნატრიუმის ტუტის სსნარები. პირველ და მეორე სინჯარაში წარმოიქმნება წყალში უხსნადი  $\text{BaSO}_4$ -ის თეთრი ნალექი. მესამე და მეოთხე სინჯარაში წარმოიქმნება ცისფერი ნალექი. გააანალიზეთ მომხდარი რეაქციები და დარწმუნდებით, რომ როგორც კი სსნარში შეხვდებიან  $\text{Ba}^{2+}$  და  $\text{SO}_4^{2-}$  იონები,  $\text{Cu}^{2+}$  და  $\text{OH}^-$  იონები, ისინი წარმოქმნიან უხსნად  $\text{BaSO}_4$ -სა და  $\text{Cu}(\text{OH})_2$ -ს.

## 0180 გეცხრე

### მარილთა პიდონლიზი

მარილთა პიდონლიზი ეწოდება მარილისა და წყლის იონების ურთიერთქმედებას, რომელსაც თან სდევს წყლის წყალბადიონთა და პიდონქსიდიონთა კონცენტრაციის ცვლილება. პიდონლიზს განიცდიან წყალში ხსნადი მარილები. მარილთა პიდონლიზი ორი სახისაა – არასრული და სრული. არასრულ პიდონლიზს განიცდიან ისეთი მარილები, რომლებიც წარმოქმნილია ძლიერი მჟავისა და სუსტი ფუძისაგან ან სუსტი მჟავისა და ძლიერი ფუძისაგან, ხოლო სრულ პიდონლიზს განიცდიან სუსტი მჟავისა და სუსტი ფუძისაგან წარმოქმნილი მარილები. ძლიერი მჟავისა და ძლიერი ფუძისაგან წარმოქმნილი მარილები პიდონლიზს არ განიცდიან. მათი ხსნარის pH დაახლოებით 7-ის ტოლია.


ძლიერი ფუძისა და სუსტი მჟავისაგან წარმოქმნილი მარილების პიდონლიზს ეწოდება პიდონლიზი ანიონის მიხედვით. მაგალითად განვიხილოთ  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის პიდონლიზი:



ე.ო. ხსნარში იქმნება ტუტე არე.

ძლიერი მჟავისა და სუსტი ფუძისაგან წარმოქმნილი მარილების პიდონლიზს ეწოდება პიდონლიზი კათიონის მიხედვით. ასეთი მარილების ხსნარში მჟავა არე იქმნება. მაგალითად განვიხილოთ  $\text{CuCl}_2$ -ის

ხსნარის პიდროლიზი:



ე.ი. ხსნარში იქმნება მჟავა არე.

სუსტი ფუძისა და სუსტი მჟავისაგან წარმოქმნილი მარილების პიდროლიზს ეწოდება პიდროლიზი კათონისა და ანიონის მიხედვით. ასეთი მარილების ხსნარებს დაახლოებით ნეიტრალური არე გააჩნიათ (pH 7). მაგალითად:



პიდროლიზის პროცესი ხასიათდება პიდროლიზის ხარისხით კ და პიდროლიზის მუდმივათი კ.

$$_z = C_z/C,$$

სადაც  $C_z$  – პიდროლიზებული მოლეკულების კონცენტრაცია,  $C$  – სრული კონცენტრაცია.

ზომიერი კონცენტრაციის ხსნარებისთვის პიდროლიზის ხარისხის თოახის ტემპერატურაზე უმნიშვნელოა და შეადგენს დაახლოებით 1 %-ს.

პიდროლიზის ხარისხი დამოკიდებულია ტემპერატურაზე, განზავებასა და მარილის ბუნებაზე. რაც უფრო სუსტია მარილი წარმოქმნელი მჟავა ან ფუძე, მით უფრო მეტია მარილის პიდროლიზის ხარისხი. ტემპერატურის აწევით და ხსნარის განზავებით პიდროლიზის ხარისხი მატულობს.

## სამუშაო №8

### მარილთა არასრული პიდროლიზი

**ცდა 1.** აიღეთ შვიდი სინჯარა. ერთში ჩაასხიო 5


მდლ კალიუმის კარბონატის, მეორეში – 5 მდლ ნატრიუმის სულფიდის, მესამეში – 5 მდლ თუთიის სულფატის, მეოთხეში – 5 მდლ ალუმინის ქლორიდის, მეხუთეში – 5 მდლ ნატრიუმის ქლორიდის, მეექვსეში – 5 მდლ კალიუმის ნიტრატის ხსნარები, ხოლო მეშვიდე სინჯარაში ჩასხით 5 მდლ გამოხდილი წყალი. ყველა სინჯარას დაუმატეთ ლაკმუსის ხსნარი. დააკვირდით სინჯარებში ხსნარების ფერს. პირველ და მეორე სინჯარაში ხსნარი მიიღებს ლურჯ ფერს, რაც მაჩვენებელია ხსნარის ტუტე რეაქციისა, ხოლო მესამე და მეოთხე სინჯარებში – წითელ ფერს. მეხუთე და მეექვსე სინჯარებში ხეიტრალური ლაკმუსი ფერს არ შეიცვლის და ისეთივე ფერი ექნება, როგორც მეშვიდე სინჯარაში აქვს. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ NaCl და KNO<sub>3</sub> ჰიდროლიზს არ განიცდიან. ახსენით დანარჩენ სინჯარებში ჰიდროლიზის მოვლენები და შეადგინეთ ჰიდროლიზის განტოლებები.

## სრული პიდროლიზი

**ცდა 2.** სინჯარაში ჩაასხიო 5-6 მლ გამოხდილი წყალი და მასში ჩაყარეთ  $\text{Al}_2\text{S}_3$  – ალუმინის სულფიდის ფევნილი. კარგად ანჯღრიეთ და დაუკვირდით სინჯარაში მიმდინარე პროცესს. შეამჩნევთ, რომ ალუმინის სულფიდის სრული ჰიდროლიზის შედეგად ნალექის სახით წარმოიქმნება ალუმინის ჰიდროქსიდი და სსნარიდან გამოიყოფა გოგირდწყალბადი (იგრძნობთ  $\text{H}_2\text{S}$  –ის დამახასიათებელ სუნს).

**ცდა 3.** სინჯარაში ჩაასხიო ალუმინის სულფატის ხენარი და მას დაუმატეთ ნატრიუმის კარბონატის ხენარი. ამ ნივთიერებათა ურთიერთქმედების შედეგ-

გად წარმოიქმნება ალუმინის კარბონატი, რომელიც შემდეგ იშლება წყლის მოქმედებით:



რეაქციის შედეგად დაილექტება თეთრი, ამორფული ალუმინის ჰიდროქსიდი და გამოიყოფა გაზი  $\text{CO}_2$  ნახშირმჟავას დაშლის გამო.

### ტემპერატურის გავლენა ჰიდროლიზზე

**ცდა 4.** სუფთა სინჯარაში ჩაასხით რამდენიმე მლ ნატრიუმის აცეტატის ხსნარი, დაამატეთ 2-3 წვეთი ფენოლფტალეინის ხსნარი. ხსნარი მიიღებს ჟოლოსუერს. მიღებული ხსნარი გაანაწილეთ ორ სინჯარაში. ერთი სინჯარა ხსნარით გააცხელეთ, მეორე დატოვეთ შესადარებლად. გაცხელების შემდეგ სინჯარაში ხსნარის შეფერილობა ინტენსიური გახდება, რაც მაჩვენებელია ჰიდროქსიდიონთა კონცენტრაციის ზრდისა. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ტემპერატურის აწევამ გაზარდა ნატრიუმის აცეტატის ჰიდროლიზის ხარისხი. სინჯარა გააციეთ. დააკვირდით ფერის ცვლილებას და გააკეთეთ სათანადო დასკვნა.

### ხსნარის კონცენტრაციის გავლენა ჰიდროლიზზე

**ცდა 5.** ორ სინჯარაში ჩაასხით 5-5 მლ გამოხდილი წყალი და ჩაყარეთ: პირველ სინჯარაში 0,01 გ, ხოლო მეორეში – 0,5 გ უწყლო ნატრიუმის კარბონატის ფხვნილი. კარგად გახსენით. ამის შემდეგ ორივე

სინჯარაში ჩაასხით თითო წვეთი ფენოლფტალეინის სსნარი. დააკვირდით სსნარის შეფერილობის ინტენსივობას. სინჯარაში, რომელშიც 0,01 გ ნატრიუმის კარბონატი გქონდათ, შეფერვა უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე მეორე სინჯარაში. აქედან ჩანს, რომ კონცენტრაციის გაზრდით ჰიდროლიზის ხარისხი მცირდება, ხოლო კონცენტრაციის შემცირებისას – იზრდება.

### **ჰიდროლიზის შექცევადობა**

**ცდა 6.** ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით 10 მლ ბისმუტის (III) ნიტრატის ხსნარი და თანდათანობით უმატეთ მას გამოხდილი წყალი თეთრი ნალექის წარმოქმნამდე. ნალექის წარმოქმნა გამოწვეულია ბისმუტის (III) ნიტრატის ჰიდროლიზით, რის შედეგადაც გამოიყოფა წყალში უხსნადი ფუძოვანი მარილი:




ამის შემდეგ ჭიქაში ნალექს წვეთწვეთობით უმატეთ კონცენტრირებული აზოტმჟავას ხსნარი და ჭიქა ანჯდრიეთ. ნალექი გაიხსნება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ აზოტმჟავას კონცენტრაციის გაზრდამ გამოიწვია წონასწორობის ძლიერი გადანაცვლება მარცხნივ. ახლა ჭიქაში კვლავ ჩაუმატეთ წყალი, კვლავ წარმოიქმნება ფუძოვანი მარილის ნალექი, რადგან წყლის რაოდენობის გაზრდა გამოიწვევს რეაქციის წონასწორობის მარცხნიდან მარჯვნივ გადანაცვლებას.

## თავი მეათე

### ქანგა-აღდგენა


თუ ქიმიური რეაქციების კლასიფიკაციას საფუძვლად დავუდებთ დაუანგვის ხარისხის ცვლილებას, მაშინ ქიმიური რეაქციები შეიძლება დავყოთ ორ ტიპად:

1) რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობენ დაუანგულობის ხარისხის შეუცვლელად, მაგ.




და

2) რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობენ დაუანგულობის ხარისხის ცვლილებით, მაგ.



ან



ადნიშნულ რეაქციებში წყალბადი, ჟანგბადი, სპილენი და ვერცხლი იცვლიან დაუანგულობის ხარისხს.


ქიმიურ რეაქციებს, რომელთა დროს იცვლება ატომების დაუანგულობის ხარისხი, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები ეწოდებათ. თანამედროვე თვალსაზრისით, დაუანგულობის ხარისხის ცვლილება დაკავშირებულია ელექტრონების გადანაწილებასთან. ამიტომ ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია შეიძლება ასე განვმარტოთ:

რეაქციები, რომლის დროს მიმდინარეობს ელექტრონების გადასვლა ერთი ატომიდან, მოლეკულიდან ან იონიდან სხვაზე. დავაზუსტოთ და გავაფართოვოთ ჟანგვისა და აღდგენის ცნებები შემდეგი განმარტებებით: ჟანგვა ეწოდება ელექტრონების გაცემის პროცესს, ანუ პროცესს, რომლის დროსაც იზრდება ატომის დაუანგულობის ხარისხის ალგებრული მნიშვნელობა. აღდგენა ეწოდება ელექტრონების მიერთების პროცესს, ანუ პროცესს, როცა მცირდება დაუანგულობის ხარისხის ალგებრული მნიშვნელობა. ეს ორი პროცესი ერთმანეთის საწინააღმდეგო, მაგრამ ერთმანეთის განმაპირობებელი პროცესებია. არ არსებობს დაუანგვა აღდგენის გარეშე და პირიქით. ნაწილაკი, რომელიც ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის დროს აღდგება, დამჟანგავია. ნაწილაკი, რომელიც იჟანგება, აღმდგენელია. რადგან ატომები, მოლეკულები ან იონები, რომლებიც იჟანგება ან აღდგება, შედის სხვადასხვა ნივთიერებების შემადგენლობაში, ამიტომ თვით ამ ნივთიერებებს ეწოდება შესაბამისად აღმდგენელები და დამჟანგელები.


არჩევენ ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების სამ ტიპს – მოლეკულათშორისს, შიდამოლეკულურ და დისპროპორციონირების რეაქციებს.

**მოლეკულათშორისი** ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია ეწოდება ისეთ რეაქციას, რომლის დროსაც ატომების დაუანგულობის ხარისხი იცვლება სხვადასხვა ნივთიერებაში; ე.ი. როცა დამჟანგავი და აღმდგენელი შედის სხვადასხვა მოლეკულის შემადგენლობაში. მაგალითად:







**შიდამოლეკულური** ეწოდება ისეთ ჟანგვა-აღდგენის რეაქციას, რომლის დროსაც იცვლება ერთ მოლეკულაში შემავალი სხვადასხვა ელემენტის ატომების დაუანგულობის ხარისხი. მაგალითად:




ან




**შიდამოლეკულურია** აგრეთვე ის რეაქციები, როცა განსხვავებული დაუანგულობის ხარისხი აქვს ერთ მოლეკულაში შემავალ ერთი და იმავე ელემენტის სხვადასხვა ატომს. მაგალითად:




ან



**დისპროპორციონირების** რეაქცია ეწოდება ისეთ ჟანგვა-აღდგენით რეაქციას, რომლის დროსაც ხდება ერთნაირი დაუანგულობის ერთი და იმავე ელემენტის ატომების დაუანგულობის ხარისხის ერთდროული შემცირება და გაზრდა. ცხადია, ასეთი რეაქცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისეთი ნივთიერებებისათვის, რომლებიც შეიცავენ შუალედური დაუანგულობის ხარისხის მქონე ატომებს. მაგალითად:



ან



ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები დიდ როლს თამაშობენ ბუნებასა და ტექნიკაში. ისინი საფუძვლად უდევს ისეთ პროცესებს, როგორიცაა სუნთქვა, ნივთიერებათა ცვლა, ფოტოსინთეზი, დუღილი, ლპობა, ლითონების კოროზია, სათბობის წვა, ქიმიური ენერგიის გარდაქმნა გალვანურ ელემენტებსა და აკუმულატორებში და ა.შ.

### ჟანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებების შედგენა

სწორად შედგენილი რეაქციის განტოლება წარმოადგენს ნივთიერებათა მასის მუდმივობის კანონის გამოსახვას. ამიტომ ერთი და იმავე ელემენტის ატომთა რიცხვი გამოსავალ ნივთიერებებში და რეაქციის პროდუქტებში უნდა იყოს ერთნაირი. შენარჩუნებული უნდა იქნეს მუხტებიც: გამოსავალ ნივთიერებათა მუხტების ჯამი ტოლი უნდა იყოს რეაქციის პროდუქტების მუხტების ჯამისა.


ჟანგვა-ალდგენითი რეაქციების განტოლებების შედგენისას მოხერხებულობისა და ერთსახოვნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: გამოსავალ ნივთიერებებში ჯერ ჩავწეროთ აღმდგენი, შემდეგ მუანგავი და არე (თუ ეს აუცილებელია), რეაქციის პროდუქტებში – ჯერ აღმდგენის დაუანგვის პროდუქტი, შემდეგ მუანგავის ალდგენის პროდუქტი, შემდეგ სხვა ნივთიერებები.

ცნობილია ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის განტოლების შედგენის ორი მეთოდი: ელექტრონული ბალანსის მეთოდი და ნახევარრეაქციების მეთოდი.

**ელექტრონული ბალანსის მეთოდი** დამყარებულია ატომთა დაუანგულობის ხარისხების შედარებაზე გამოსავალ ნივთიერებებსა და საბოლოო პროდუქტებში. აუცილებელია, რომ აღმდგენის მიერ გაცემული ელექტრონების რიცხვი ტოლი იყოს მჟანგავის მიერ შეძენილი ელექტრონების რიცხვისა. განტოლების შესადგენად უნდა ვიცოდეთ მორეაგირე ნივთიერებათა და რეაქციის პროდუქტთა ფორმულები. განვიხილოთ ამ მეთოდის გამოყენება კონკრეტულ მაგალითზე – სპილენძის ურთიერთქმედება განზავებულ აზოტმჟავასთან



მივუთითოთ იმ ელემენტების დაუანგულობის ხარისხები, რომლებმაც განიცადეს ცვლილება:



შევადაროთ დაუანგულობის ხარისხები. ჩანს, რომ სპილენძი დაიუანგა და აზოტი აღდგა ნაწილობრივ დავწეროთ ცალ-ცალკე სპილენძის დაუანგვისა და აზოტის აღდგენის ელექტრონული განტოლებები, კ.ი. შევადგინოთ ელექტრონების გაცემისა და მიერთების ბალანსი:

$\begin{array}{c} 0 \\ \text{Cu} - 2e \end{array}$	$\begin{array}{c} +2 \\ \text{Cu} \end{array}$	$2$	$6$	$3$
$\begin{array}{c} +5 \\ \text{N} + 3e \end{array}$	$\begin{array}{c} +2 \\ \text{N} \end{array}$	$3$	$2$	

ელექტრონული ბალანსის გზით მოძებნილი კოეფიციენტი უნდა დაიწეროს იმ ნივთიერებების ფორმულების წინ, რომლებმაც განიცადეს დაუანგვა ან აღდგენა. გამოსავალ ნივთიერებაში სპილენძი მოლიანად იჯანგება, ამიტომ კოეფიციენტი 3 დაიწერება ელემენტარული სპილენძისა და სპილენძის (II) ნიტრატის წინ. რაც შეეხება აზოტს, საჭიროა ყურადღება მივაჭციოთ იმას, რომ აღდგება გამოსავალ ნივთიერებაში არსებული აზოტის მხოლოდ ნაწილი. რეაქციის პროცესში აზოტი შედის ორი ნივთიერების შემადგენლობაში – ერთში უცვლელი, მეორეში კი აღდგენილი სახით. ამიტომ კოეფიციენტი 2 დაიწერება იმ ნაერთის წინ, რომელშიც შედის აღდგენილი აზოტი, ე.ო. აზოტის (II) ოქსიდის წინ:




დაგადგინოთ დანარჩენი კოეფიციენტებიც. რეაქციის პროცესში რვა ატომი აზოტია, ამიტომ აზოტ-მჟავას წინ დაიწერება კოეფიციენტი 8, ხოლო წყლის წინ 4. საბოლოოდ განტოლებას ექნება ასეთი სახე:



**ნახევარრეაქციების, ანუ იონურ-ელექტრონულ მეთოდს** გარკვეული უპირატესობა აქვს ელექტრონული ბალანსის მეთოდთან შედარებით. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ნახევარრეაქციების მეთოდში საქმე გვაქვს არა პიპოთეტურ, არამედ რეალურად არსებულ იონებთან, რომლებიც წარმოიქმნება წყალსსნარებში ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად. ამ მეთოდით გაცილებით უფრო მოხერხებულია წყალსსნარებში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების განტოლებების შედეგენა. გარდა ამისა, ელექტრონული ბალანსის მეთოდისაგან განსხვავებით, ნახევარრეაქ-

ციების მეთოდში აშკარად ჩანს გარემო არის (მჟავე, ტუტე, ნეიტრალური) როლი პროცესის მიმდინარეობაზე. ნახევარრეაქციების მეთოდის გამოყენებისას საჭირო არ არის რეაქციის ყველა პროდუქტის ცოდნა, რადგან მათი დადგენა ხდება რეაქციის განტოლების გამოყვანისას. ასევე არ არის საჭირო ატომების დაჟანგულობის ხარისხის ცოდნა.


განვიხილოთ იგივე რეაქცია ნახევარრეაქციების მეთოდით. როგორც ვიცით, აზოტმჟავა მთლიანად დისოცირებულია  $H^+$  და  $NO_3^-$  იონებად. პირველი ნახევარრეაქცია მდგომარეობს სპილენძის ნეიტრალური ატომებიდან ორმუხეტიანი იონის წარმოქმნაში:




წყალბადის იონების მიერ შექმნილ მჟავა გარემოში მიმდინარეობს ნიტრატიონების აღდგენა აზოტის (II) ოქსიდამდე და გამონთავისუფლებული ჟანგბადის ორი ატომის ხარჯზე წყლის ორი მოლეკულის წარმოქმნა. ორი მოლეკულა წყლის წარმოსაქმნელად საჭიროა წყალბადის ოთხი იონი, ამიტომ მეორე ნახევარრეაქციის განტოლება შეიძლება ასე ჩავწეროთ:




როგორც ვხედავთ, დამყარებულია მატერიალური ბალანსი, მაგრამ მუხტების ჯამი ტოლობის ორივე მხარეს არ არის გატოლებული. საჭიროა ელექტრონების მეშვეობით დავამყაროთ მუხტების ბალანსი; მარცხენა მხარეს მუხტების ჯამია  $(-1) + 4(+1) = +3$ , ხოლო მარჯვენა მხარეს  $0 + 0 = 0$ ; ე.ი. მარცხენა მხარეს საჭიროა დავუმატოთ სამი უარყოფითი მუხტი, რაც მიიღწევა  $3e^-$ -ის დამატებით. მაშინ მეორე ნახევარრეაქცია მიიღებს სახეს




I და II ნახევარრეაქციებში მონაწილე ელექტრონების რიცხვი სხვადასხვაა. იმისათვის, რომ სრულ რეაქციაში გამოირიცხოს ელექტრონების მონაწილეობა, საჭიროა I ნახევარრეაქცია გავამრავლოთ 3-ზე, ხოლო II ნახევარრეაქცია 2-ზე. მაშინ გაცემული და შეძენილი ელექტრონების რიცხვი ერთმანეთს გაუტოლდება:




აღნიშნული კოეფიციენტების გათვალისწინებით შევკრიბოთ განტოლების მარცხენა და მარჯვენა მხარეები. მივიღებთ:



მივიღეთ რეაქციის შემოკლებული იონურ-მოლეკულური განტოლება. სრული იონურ-მოლეკულური განტოლების მისაღებად საჭიროა განტოლების ორივე მხარეს დავუმატოთ ექვს-ექვსი ნიტრატიონი:



ბოლოს შევადგინოთ მოლეკულური განტოლება:



## სამუშაო №9

### ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები

#### ცდა 1. სპილენბის ალდგენა რკინით

სინჯარაში ჩაასხით 10-12 მლ სპილენბის (II) სულფატის ხსნარი და მიუმატეთ 1-2 გ რკინის ნაქლიბი, ან ჩაუშვით ხსნარში რკინის ლურსმანი. ცოტა

ხნის შემდეგ, როდესაც ხსნარი მიიღებს მწვანე ფერს, რეაქცია დამთავრებულად ჩათვალეთ.

შეადგინეთ ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის განტოლება.

### ცდა 2. რკინის (III) ქლორიდისა და კალიუმის იოდიდის ურთიერთქმედება

სინჯარაში ჩაასხით რკინის (III) ქლორიდის კონცენტრირებული ხსნარი და წვეთწვეთობით დაამატეთ კალიუმის იოდიდის კონცენტრირებული ხსნარი. შეამჩნევთ გამოყოფილ თავისუფალ იოდს, რომელიც ხსნარს მიანიჭებს მუქ შეფერილობას. რა აღდგა და რა დაიუანგა?

შეადგინეთ ჟანგვა-აღდგენის რეაქციის განტოლება შემდეგი სქემის მიხედვით:



### ცდა 3. გარემოს გავლენა ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის მიმდინარეობაზე

სამ სინჯარაში ჩაასხით 5-5 მლ კალიუმის პერმანგანატის  $\text{KMnO}_4$ -ის 2 %-იანი ხსნარი. პირველ სინჯარას წვეთობით დაამატეთ განზავებული გოგირდმჟავა, მეორე სინჯარას – განზავებული  $\text{KOH}$ -ის მცირე რაოდენობა, ხოლო მესამეს – გამოხდილი წყალი. სამივე სინჯარაში ჩაუმატეთ 1-2 მლ  $\text{Na}_2\text{SO}_3$ -ის განზავებული ხსნარი. რეაქციის გარეგნული ეფექტი ჩაინიშნეთ სამივე შემთხვევაში. მჟავე არეში ხსნარი უნდა გაუფერულდეს, ტუბე არეში მწვანედ უნდა შეიფეროს, ხოლო ნეიტრალურ არეში უნდა გამოიყოს მურა ყავისფერი ნალექი.

შეადგინეთ ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის განტოლებ-

ბები შემდეგი სქემის მიხედვით:


**ძავა არეში:**



**ტუტე არეში:**



**ნეტრალურ არეში:**



#### **ცდა 4. კალიუმის ბიქრომატი როგორც მჟანგავი**

აიღეთ სინჯარაში კალიუმის ბიქრომატის  $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ -ის სსნარი. შეამჟავეთ განზავებული გოგირდმჟავით და დაუმატეთ  $\text{Na}_2\text{SO}_3$ -ის სსნარი. ჩაინიშნეთ ფერის შეცვლა. შეადგინეთ ჟანგვა-აღდგენის განტოლება.



#### **ცდა 5. რკინის (II) სულფატის დაჟანგვა აზოტმჟავით**

აიღეთ რკინის (II) სულფატის კრისტალები, ჩაყარეთ სინჯარაში და გახსენით გამოხდილ წყალში. მიუმატეთ 1-2 წვეთი განზავებული გოგირდმჟავა და რამდენიმე წვეთი აზოტმჟავა. სინჯარა კარგად შეანჯლრიეთ და სსნარი გააცხელეთ მანამ, სანამ ყვითლად არ შეიფერება  $\text{NO}_3^-$ ს გამოყოფის გამო:



გაციების შემდეგ სსნარზე იმოქმედეთ კალიუმის როდანიდის სსნარით. უნდა მიიღოთ სისხლისფერ წითელი შეფერილობა, რაც დაადასტურებს სსნარში რკინის (III) სულფატის არსებობას.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ვ.კოკოჩაშვილი, ნ.ფირცხალავა. არაორგანული  
ქიმიის კურსი. I ნაწილი. თბილისი. 1966 წ.
2. მ.უგულავა, გ.თალაკვაძე, ე.გოცირიძე. არაორგა-  
ნული ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკული.  
თბილისი. 1967 წ.
3. ლ.ნადარეიშვილი. ზოგადი ქიმია. თბილისი.  
1991 წ.

## შინაარსი

1. თავი პირველი. ქიმიის ლაბორატორიაში გუგაობის ზოგადი წესები -----	3
2. თავი მეორე. ქიმიურ რეაქციათა ტიპები. ნივთიერე- ბის მასის მუდმივობის კანონი -----	9
3. თავი მესამე. აირად ნივთიერებათა მოლეკულური მასის განსაზღვრა -----	15
4. თავი მეოთხე. ლითონის ექვივალენტური მასის განსაზღვრა-----	21
5. თავი მესამეთხმე. ქიმიური რეაქციის სიჩქარე. ქიმიური წონასწორობა -----	24
6. თავი მემკვეთ. ხსნარების დამზადება -----	33
7. თავი მეშვიდე. გარილთა ტიპები. ზოგიერთი მარი- ლის მიღების ხერხი. ნეიტრალუზაცია -----	40
8. თავი მერვე. ელექტროლიტური დისოციაცია -----	46
9. თავი მეცხრე. მარილთა კიდროლიზი -----	54
10. თავი მეათხმე. ჟანგვა-აღდგენა -----	59
11. გამოყენებული ლიტერატურა -----	69

გამომცემლობის რედაქტორი მ.გიორგობიანი  
კორექტორი ე.კასრელიშვილი  
ხელმოწერილია დასაბუჭიდად 4.08.01  
საბუჭიდი ქაღალდი 60 84 1 16  
პირობითი ნაბუჭიდი თაბახი 4,5  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,18  
ტირაჟი 100  
შეკვეთა  
ფასი სახელშეკრულებო  
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
380021, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 14  
გამომცემლობა „უნივერსალი“,  
380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1